ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 28 თებერვალი, 2022 №41 (8819) ფასი: 60 თეთრი

## ბადრი ჯაფარიძე: „მივიღე გადაწყვეტილება, შევაჩერო ჩემი მონაწილეობა რუსთავის შუალედურ არჩევნებში“

გვ.2



# „საქართველოს ბედი დღეს უკრაინაში წყდება“




გვ.2



„ის, რაც საქართველოს მთავრობამ უპასუხა უკრაინას, არის სირცხვილი, რომლის ჩამორეცხვა შეუძლებელია“



გია ხუხაშვილი: „დღევანდელი მსოფლიოს მთავარი გმირი ზელენსკია“

# „72 საათი რომ გაუძლო უკრაინამ, ის უკვე გამარჯვებულია ამ ომში“



გვ.2

კახა ქემოკლიძე: „უკრაინასთან ვალში ვართ, აფხაზეთის ომში ჩვენ გვერდით იბრძოდნენ და 2008 წელს გვერდში დაგვიდგნენ“

## „ყველგან ჩავიჭერით. სირცხვილია, რომ ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორი რუსეთია“



გვ.3

ოთო აბესაძე: „ომის დაწყებიდან 8 საათში საქართველოში 27 თეთრით გაუფასურდა ვალუტა. ვფიქრობ, აქ რაღაც მაქინაციებთან გვაქვს საქმე“

## რა პოზიცია დაიკავა საქართველომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ?

ოკუპირებულმა აფხაზეთმა დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობა“ აღიარა

გვ.4



## თენგიზ დიხამინჯია: „პუტინს, ერთადერთი, შვილმკვლელი დედების ეშინია“

გვ.4



ISSN 1987-9385

2 ნინო გიორგობიანი: „ზუსტად მახსოვს ის ხალხი, ვინც პირადად ჩემთან რეკავდა და საქართველოდან წასასვლელ ბილეთს მთხოვდა“

6 რუსეთის მოსახლეობა ბანკომატებს მიაწყდა — ომის დაწყებიდან 24 მილიარდი დოლარია გატანილი

5 რაჭაში დათვმა მონადირე შეჭამა

6 უკრაინის რადა გაეროს: „შეიქმნას ტრიბუნალი პუტინის რეჟიმის დანაშაულთა გამოსაძიებლად“

# „საქართველოს ბედი დღეს უკრაინაში წყდება“

## გია ხუხაშვილი: „დღევანდელი მსოფლიოს მთავარი გმირი ზელენსკია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი გია ხუხაშვილი პასუხობს.

***– ბატონო გია, უმძიმესი დღეები უდგას უკრაინას და ზოგადად მთელ ცივილიზებულ სამყაროს. როგორია თქვენი შეფასებები ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით?***

– დღეს ჩვენ ვართ ძალიან ტრაგიკული სურათის მომსწრე. თუ სამყაროს შეუძლია, ეს შეაკავოს, მაქსიმალურად უნდა ეცადოს ამას.

***– რთულია განსაზღვრო, რა მოხდება, მაგრამ მაინც როგორია თქვენი დასკვნები?***

– წინასწარი დასკვნების გაკეთება შეიძლება. რაც შეეხება თვითონ ვითარებას, რუსეთის გათვლა იყო სწრაფ შედეგზე. მათ ჰქონდათ იმედი უკრაინის გარკვეულ რეგიონებში პრორუსული განწყობისა, ჰქონდათ იმედი, რომ ადვილად აიღებდა რამდენიმე ქალაქს, კოლაბორაციონისტულ ჯგუფებს მოძებნიდა და გარკვეულ სწრაფ დარტყმას განახორციელებდა. პირველი შოკის შემდეგ ეს უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს არ გამართლდა. აღმოჩნდა, რომ უკრაინელი ხალხი ერთიანია.

***– საოცარი ერთიანობის მაგალითი აჩვენეს მსოფლიოს.***

– ნამდვილად ასეა. არიან ერთიანები, მებრძოლები, ბრძოლისუნარიანები, იბრძვიან ყოველი ქალაქისთვის, ყოველი სოფლისთვის. შესაბამისად, ამის შემდეგ როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, რუსეთი პოლიტიკურად უკვე დამარცხებულია. პარალელურად ხდება დასავლეთის სრული კონსოლიდაცია. ის გზებს, თუ როგორ შეიძლება რუსეთის შეკავება. ამ მხრივ უკვე აქტიურობაა, რასაც ბოლო დღეებია ვუყურებთ.

***– რამდენად შეაკავებენ რუსეთს?***

– მე არ ვიზიარებ იმ კონცეფციას, რომ სანქციებით შეიძლება რუსეთის შეკავება, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთის ეთნოფსიქოლოგიისთვის არ არის დომინანტური კეთილდღეობითი ფაქტორი. თუმცა, ბუნებრივია, რუსეთი ზიანდება. როგორც სადამსჯელო ღონისძიებები, ეს შეიძლება იყოს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მოგვცეს ეფექტი. ელემენტარულად, რუსეთი დასუსტდეს, სამხედრო მანქანის შენახვის რესურსი შეუმცირდეს და, შესაბამისად, ესეც იქნება უკვე შედეგი.

***– სანქციები არ არის საკმარისი, კიდევ რა უნდა გაკეთდეს?***

– სანქციები კარგია, მაგრამ არ არის საკმარისი. მე ვფიქრობ, რომ მხარდაჭერა უნდა იყოს მრავალწახნაგოვანი და პრაქტიკულად – ყველა მიმართულებით. რუსეთის იზოლირება უნდა მოხდეს არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურად და თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით, იმიტომ, რომ სამხედრო რესურსებიც ცვეთადია. შესაბამისად, მაქსიმალური შეზღუდვები უნდა დაწესდეს ამ მიმართულებით და, ბუნებრივია, საინფორმაციო კამპანია უნდა იყოს სისტემური და ძალიან მასშტაბური. რა თქმა უნდა, ამით აგრესიას ვერ შეაჩერებენ და ტრაგედია გარდაუვალია. დღეის მდგომარეობით, რუსეთს აქვს აკრეფილი ინერცია და, ბუნებრივია, რაც უფრო მეტი სანქცია იქნება, ის უფრო აგრესიული გახდება. სამწუხაროდ, ამას ყველაფერს ადამიანები ეწირებიან და ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, თორემ, მე გითხარით, რომ საშუალოვადიან პერიოდში რუსეთი უკვე დამარცხებულია, რადგან მათი გეგმა არ განხორციელდა.

***– გაისმა შეფასებები, რომ უკრაინა დაჩქარებული წესით უნდა მიიღონ ნატოში. თავად უკრაინის პრეზიდენტისგანაც იყო ეს მოწოდებები. რას იტყვით ამაზე?***

– ცხელი ომის პირობებში სამყარო ძალიან სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, ვისთან გვაქვს საქმე, ადამიანთან, რომელსაც, კედელთან თუ მიაყენებ, აქვს ისეთი ინსტრუმენტი, რომელმაც შეიძლება გლობალური კატასტროფა გამოიწვიოს. აქედან გამომდინარეა ზუსტად დასავლეთის გარკვეული სიფრთხილე. ამ ცხელი ომის პირობებში ნატოში მიღება ფაქტობრივად ხომ მესამე მსოფლიო ომს უდრის. მესამე მსოფლიო ომისთვის სამყარო არ არის მზად, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეს ყველაფერი სამართლიანი და სწორიც იყოს. არის ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც უწევთ გლობალურ მოთამაშეებს. პოლიტიკური განაცხადის დონეზე ეს ყველაფერი გასაგებია, ნატოში, ევროკავშირში გაწევრიანება, მაგრამ ეს არის უფრო ხვალინდელი დღის თემა. რიტორიკის დონეზე, კი ბატონო, დღეს შეიძლება ეს საკითხი დგებოდეს, მაგრამ ის, რომ ეს მექანიზმები რეალურად ჩაერთოს, სანამ ომის ცხელი ფაზა მიმდინარეობს, არასერიოზულია.



***– შეიძლება, ცოტა დროში გაიწელოს, მაგრამ ეს არის რუსეთის დამარცხების დასაწყისიო. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– ნაწილობრივ ამ კითხვაზე გიპასუხეთ კიდეც. ის, რაც ხდება დღეს, ე.წ. რკინის ფარდის აღმართვა, დღევანდელ სამყაროში, გრძელვადიან პერიოდში, რა თქმა უნდა, რუსეთის მარცხის ტოლფასია, თუმცა აქ მთავარი პრობლემა გახლავთ ის, რომ როდესაც კოლუსი ვარდება, მის ნანგრევებში შეიძლება ძალიან ბევრი დაუმსახურებლად მოყვეს და ესეც გლობალური პრობლემაა. ამის პროგნოზირება, რამდენად იზარალებს სრულიად სამყარო, ძალიან რთულია. კი ბატონო, რუსეთი მარცხდება, მაგრამ, უნდა გვესმოდეს, რომ ეს სანქციები იქნება თუ სხვა ზომები, გარკვეულწილად ბუმერანგის პრინციპითაც მოქმედებს. ეს გარკვეული ფასი დასავლეთსაც უჯდება. ეს არ არის, სანქციები დაუწესო, რუსეთმა იზარალა და თვითონ ისევ არხეინად არის. თავადაც იზარალებენ. რუსეთი კიდევ რაზეა წამსვლელი, ესეც არავინ არ იცის. დასავლეთში ამბობენ კიდეც, რა უდევს პუტინს თავში და როდის რას გამოაგდებს, ამის გათვლა ძალიან რთულიაო. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო სერიოზული გლობალური რისკების პირისპირ დგას.

### „ის, რაც საქართველოს მთავრობამ უპასუხა უკრაინას, არის სირცხვილი, რომლის ჩამორეცხვა შეუძლებელია“

***– ამ ფონზე რა საფრთხეების წინაშე დგას საქართველო და რამდენად სწორი პოზიცია დაიკავა საქართველოს ხელისუფლებამ?***

– ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს ბედი დღეს წყდება უკრაინაში. ამაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. ჩვენ ერთ პაკეტში მოვიაზრებით. დღეს ფაქტობრივად ომი მიმდინარეობს არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ საქართველოსთვისაც უკრაინაში! ჩვენ ამაში, საბედნიეროდ, არ ვმონაწილეობთ პირდაპირი წესით, მაგრამ იქ წყდება დღეს ჩვენი ქვეყნის ბედი. ეს ჩვენი ომიც არის. სამწუხაროდ, ხელისუფლება ამას ვერ იაზრებს ან, შეიძლება ითქვას, სამარცხვინოდ იქცევა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დღევანდელი მსოფლიოს მთავარი გმირია ზელენსკი, ანუ ის არის დღევანდელ სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა, სიმბოლო ამ მსოფლმხედველობრივი ომის, მთავარი ლიდერი, მთავარი სიმბოლო და, როდესაც ეს ადამიანი ამბობს, რომ ქართველი ხალხი სჯობია საქართველოს ხელისუფლებას, მე ეს მისი გამონათქვამი მეამაყება კიდეც და მრცხვენია კიდეც, იმიტომ, რომ აი, ეს კარგი ხალხი ირჩევს ხელისუფლებას, რომელიც წინასწარ აცხადებს კაპიტულაციას და ამბობს, ფეხებზე მკიდია უკრაინა, ოღონდ მე ვიყო კარგადო. ეს თქვა ჩვენმა ხელისუფლებამ, მეტი ხომ არაფერი! დღეს უკრაინა ძალიან მტკივნეულად განიცდის ნებისმიერ განცხადებას ნებისმიერი მხრიდან. წარმოიდგინეთ, ისინი არიან ომში და ასეთი განცხადებები გულში ლახვრის ჩაცემის ტოლფასია. სამომავლოდ, მე ვფიქრობ, ღარიბაშვილს ხელს არავინ ჩამოართმევს საგარეო პოლიტიკაში. ის უკვე განწირულია. კი ბატონო, აქ კიდევ შეუძლია, თავის ტროლებზე დაყრდნობით ტვინის გამორეცხვის მანქანა მართოს, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალსაზრისით ის არის პოლიტიკური გვამი! თითქოს ახლა ცდილობენ, ნათქვამი შეატრიალონ, შეალამაზონ, მაგრამ, რაც ითქვა, იმას ველარ გადაფარავენ.

***– რატომ მოიქცა ასე ღარიბაშვილი?***

– ეს იმიტომ კი არ გააკეთა ღარიბაშვილმა, რომ პრორუსია, არა, უბრალოდ, უპრინციპოები არიან, საკუთარ ძალაუფლებას ეპოტინებიან და ეს არის მათთვის ერთადერთი ფასეულობა. ყველაფრის გარდა, ჩვენ უკრაინის ძალიან დიდი მორალური ვალი გვქონდა. 2008 წელს, როდესაც საქართველოში ომი იყო, მათი პრეზიდენტი ცხელი ომის პირობებში ჩამოვიდა თბილისში, იდგა რუსთაველზე და ამბობდა, ეს ჩემი ვალი იყოო. ასევე ძალიან გვეხმარებოდა უკრაინა ჩვენი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. ამას აკეთებდა მაშინ უკრაინა და ჩვენ ვუპასუხეთ იმით, რითაც ვუპასუხეთ. ეს არის სირცხვილი, რომლის ჩამორეცხვა შეუძლებელია. მხოლოდ ხალხს შეუძლია ამის გაკეთება და ხალხის პასუხი უნდა იყოს ცალსახა, რომ ის, ვინც სირცხვილი გვაჭამა, უნდა ჩამოშორდეს არათუ ხელისუფლებას, არამედ მისი ჭაჭანება არ უნდა იყოს ქართულ პოლიტიკაში. ქვეყანა, რომელსაც არა აქვს ღირსება და არჩევანს მუდმივად უსაფრთხოებასა და თავისუფლებას შორის უსაფრთხოების სასარგებლოდ აკეთებს, ყველაფერს კარგავს საბოლოო ჯამში. ხალხს ეს ესმის. ეს ესმის, რაც მთავარია, ახალგაზრდობას და ჩვენ ვნახეთ, რა ხდებოდა ამ დღეებში. ეს არ იყო პოლიტიკური აქცია. ეს იყო მომავალი თაობის პასუხი იმ ჭაობისადმი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფალი ამკვიდრებს!

# „72 საათი რომ გაუძლო უკრაინამ, ის უკვე გამარჯვებულია ამ ომში“

## კახა ქემოკლიძე: „უკრაინასთან ვალში ვართ, აფხაზეთის ომში ჩვენ გვერდით იბრძოდნენ და 2008 წელს გვერდში დაგვიდგნენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი კახა ქემოკლიძე პასუხობს.

***– ბატონო კახა, დღეს ყველასთვის მძიმე დღეები დგას და განსაკუთრებით – უკრაინისთვის. როგორ აფასებთ იმას, რაც ხდება? 21-ე საუკუნეში საკმაოდ რთულია, ვისაუბროთ ამ ყველაფერზე, როგორც რეალობაზე, მაგრამ ამ რეალობის წინაშე ვართ. რას იტყვით თქვენ?***

– ის, რაც ხდება ახლა რეალურად უკრაინის თავს, არის ერთადერთი სახელმწიფოსა და ერთადერთი პოლიტიკური ხელმძღვანელობის დამსახურება. ეს არის ბატონი პუტინი და მისი ანტურაჟი, რომლებიც რაღაც იმპერიალისტურ წრეში არიან ჩარჩენილები და აბსოლუტურად ნულოვანი პროვოცირების საფუძველზე, ამ შემთხვევაში უკრაინის მხრიდან, წამოიწყეს ეს ომი. მთელმა მსოფლიომ ძალიან დიდი როლი შეასრულა ამ ომის თავიდან აცილებაში. მთელი ორი თვის განმავლობაში ისინი ცდილობდნენ, მოლაპარაკებოდნენ რუსებს, მაგრამ მაინც წამოიწყეს ეს ყველაფერი და ფაქტობრივად მშვიდობიან უკრაინელებს თავს დაესხნენ, არა მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, ლუგანსკსა და დონეცკში, რომლებიც კონფლიქტის ზონებად ითვლებოდა, არამედ სრულიად უკრაინაში, რაც იმას ნიშნავს, რომ კრემლს განზრახული ჰქონდა, ბლიცკრიკით მოეხდინა მთავრობის ცვლილება და იქ დაენიშნა საკუთარი მარიონეტი მთავრობა, რომელიც საგარეო კურსს დააკორექტირებდა უკრაინელების ნების საწინააღმდეგოდ. ეს არის უპრეცედენტო მოვლენა და, ჩემი აზრით, ვხედავთ მსოფლიოში ძალიან დიდ გამოღვიძებას, მათ შორის ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც ძალიან სკეპტიკურები იყვნენ აქამდე რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვის კონტექსტში. ჩემი აზრით, ეს არის წარმოუდგენელი მოვლენა დასავლეთის მხრიდან.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# ნინო გიორგობიანი: „ზუსტად მახსოვს ის ხალხი, ვინც პირადად ჩემთან რეკავდა და საქართველოდან წასასვლელ ბილეთს მთხოვდა“

**ნინო გიორგობიანმა 26 თებერვალს ფეისბუქში დაწერა:**



„დილიდან ვაკვირდები შეფასებებს, რაც პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე გაკეთდა. ირაკლი ღარიბაშვილი არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის სიმართლეს ამბობს და თავის თავზე იღებს დარტყმებს. ამბობს სიმართლეს, რაც არ უნდა არაპოპულარული იყოს ის.

მან თქვა, რომ:

საქართველოს არავითარი საფრთხე არ ემუქრება; მან განაცხადა, რომ საქართველოში ვახორციელებთ ეროვნულ, პრაგმატულ პოლიტიკას; ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული და გაუთვლელი პოლიტიკა საქართველოში დასრულდა.

• ეროვნული ინტერესების და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, არ აპირებს რუსეთისთვის დაწესებულ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს შეუერთდეს;

• ოპოზიციის ამოცანაა პროვოკაციების მოწყობა და იმ უბედურების განმეორება, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში მათ ვერ აირიდეს.

• პიარისთვის უსაფრთხოების საბჭოს სხდომის გამართვასა და პარლამენტში მისვლას არ აპირებს;

• უკრაინაში ჩასვლას არ აპირებს, რადგან ჩასვლა ჩასვლისთვის არაფრის მომცემია, უკრაინის საჰაერო სივრცე დაკეტილია და არათუ ის, არამედ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ლიდერებიც ვერ ჩადიან უკრაინაში;

• პრემიერის დავალებით, საგარეო საქმეთა მინისტრი ჩართული იყო და ევროკავშირის ეგიდით ორგანიზებულ ეუთოს მინისტერიალზე მიიღო მონაწილეობა; ასევე, ევროსაბჭოში საქართველომ უკრაინის მიმართ სრული სოლიდარობა და პოლიტიკური მხარდაჭერა გამოხატა;

• პრემიერის დავალებით, უკრაინის ელჩს საქართველოში გზავნილი გადასცეს, რომ საქართველო მზად არის, ჩვენს ქვეყანაში მყოფ უკრაინელ მოქალაქეებს ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინოს, ეს პროცესი გაგრძელდება საქართველოს შესაძლებლობების ფარგლებში;

• მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ეროვნულ და პრაგმატულ პოლიტიკას ახორციელებს და არცერთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს ისეთს, რომელიც რაიმე ფორმით დააზიანებს ჩვენი ქვეყნის და ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

**პ.ს.** სანამ რამეს დაწერთ, იქნებ მოვლენების ქრონოლოგიას გადაავლოთ ხოლმე თვალი. აგვისტოს ომის დროს როდის ჩამოვიდნენ ლიდერები? მაშინ, როდესაც საომარი მოქმედებები დასრულდა...

**პ.ს.ს.** სხვათა შორის, ომის დროს აირზენაში ვმუშაობდი და ზუსტად მახსოვს ის ხალხი, ვინც პირადად ჩემთან რეკავდა და საქართველოდან წასასვლელ ბილეთს მთხოვდა ნებისმიერი მიმართულებით,... ოღონდ მხოლოდ ერთ გზას“.

# ბადრი ჯაფარიძე: „მივიღე გადაწყვეტილება, შევაჩერო ჩემი მონაწილეობა რუსთავის შუალედურ არჩევნებში“

პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერის, ბადრი ჯაფარიძის განცხადებით, უკრაინაში მიმდინარე ომის გამო საარჩევნო კამპანიის წარმოება შეუძლებელია და ხელისუფლებას შუალედური არჩევნების გადადებისკენ მოუწოდა.

მისივე თქმით, ის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუკი არჩევნების თარიღი გადავადდება.

– რუსეთის აგრესიამ მთლიანად შეცვალა ვითარება ჩვენ რეგიონში და საქართველოში. რუსეთის ინტერვენციის შედეგად საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა და ახლა ჩვენს ქვეყანას ბევრი გამოწვევა აქვს უსაფრთხოების და ეკონომიკური თვალსაზრისით.

მთელი „ლელოს“ რესურსი კონსოლიდირებულია იმაზე, რომ მაქსიმალური მხარდაჭერა გავუწიოთ ჩვენს უკრაინელ დებსა და ძმებს. მე უკვე სამი დღეა, იმის შემდგომ რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, შევაჩერე რუსთავში საარჩევნო კამპანია, სადაც აქტიური შეხვედრები მქონდა მოსახლეობასთან, სადაც ძალიან დიდი სითბო და მხარდაჭერა მივიღე, მაგრამ ამ ვითარებაში, როდესაც ჩვენი თანამოქალაქეები არიან უკიდურესად დაზაფრულები, საარჩევნო პროცესების წარმოება შეუძლებელია.

შესაბამისად, მე მივიღე გადაწყვეტილება შევაჩერო ჩემი მონაწილეობა რუსთავის შუალედურ არჩევნებში და მოვუწოდებ ხელისუფლებას, გადადოს 2 აპრილის არჩევნები, რადგან ასეთ მდგომარეობაში პრაქტიკულად, საგანგებო მდგომარეობაში შეუძლებელია ნორმალური საარჩევნო პროცესების წარმართვა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ უკრაინაში წყდება საქართველოს თავისუფლების ბედიც. შესაბამისად, ყველა რესურსი, მათ შორის, სახელმწიფო რესურსი უნდა იყოს მობილიზებული უკრაინის დასახმარებლად და ჩვენ ყველამ მტკიცე პასუხი უნდა გავცეთ პუტინსა და მის მარიონეტებს, რომლებიც მრავლად არიან, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებაში დღეს, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ყველგან ჩავიჭერით. სირცხვილია, რომ ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორი რუსეთია“

## ოთო აბესაძე: „ომის დაწყებიდან 8 საათში საქართველოში 27 თეთრით გაუფასურდა ვალუტა. ვფიქრობ, აქ რაღაც მაქინაციებთან გვაქვს საქმე“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს.**

***– ოთო, ბოლო პერიოდში განვითარებული პროცესები შევაფასოთ და განვიხილოთ სუფთა ეკონომიკურ ჭრილში. რა ზიანს მოუტანს ქვეყნებს უკრაინაში მიმდინარე საომარი პროცესები და ის მკაცრი სანქციები, რომლებიც რუსეთს დაუწესდა?***

– მოდით, ეს ყველაფერი კატეგორიებად დავყოთ. პირველ რიგში, ეს დამანგრეველი იქნება რუსეთისთვის, ვინაიდან მათი ეკონომიკა ამას ვერ გაუძლებს. რუსული რუბლი კიდევ უფრო უფასურდება. სვიფტიდან რუსეთის გათიშვა ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ვერც ერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ ოპერაციაში მონაწილეობას ვერანაირად ვერ მიიღებს. სიმარტივისთვის რომ ავხსნა, ვიზას და სხვა პლასტიკურ ბარათებს, რომლებიც ყველას გვაქვს ჯიბეში, უბრალოდ, ველარ გამოიყენებენ. რეალურად რუსეთს დარჩება სახარჯი ფული, მხოლოდ ადგილობრივი რუბლი და ისიც – შიდა მიმოქცევაში. რამდენ ხანს ეყოფა და თავის თავს როგორ გამოიყენებს რუბლი, ეს დაუთვლადია, იმიტომ, რომ ინფლაცია შეჭამს ამ ყველაფერს, მით უმეტეს, ომის ზარალიდან და ხარჯებიდან გამომდინარე. ფაქტობრივად ეს დამანგრეველი იქნება მათთვის. ასევე ძალზე დამაზიანებელი იქნება ეს ევროკავშირისთვის, ვინაიდან რუსეთი ევროკავშირის საკმაოდ მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. მეტსაც გეტყვით, ეს ზოგადად მსოფლიო ბაზარზე იქონიებს გავლენას საწვავზე, რადგან რუსეთი მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის სიდიდით რიგით მეორე მიმწოდებელია. თუმცა აქაც არსებობს ბერკეტები.

***– რა ბერკეტებს გულისხმობთ?***

– ოპეკმა, რომელიც არის ნავთობის მოპოვების საერთაშორისო რეგულატორი და წესების მდგენელი, პანდემიის დროს ნავთობის მოპოვება შეამცირა და, დიდი ალბათობით, ახლა გაზრდის ნავთობის მოპოვებას და ამით მოახდენს ერთგვარ ბალანსს, ვინაიდან ბოლო ვაჭრობის შედეგად ერთი ბარელი ნავთობის ფასი 100 დოლარს ასცდა. ეს კი სარეკორდო მაჩვენებელია.

***– რუსეთი თავის ნავთობს ველარ ყიდის?***

– რომც უნდოდეს, ვერ გაყიდის, იმიტომ, რომ მოხვდა იზოლაციაში, ჩახსნეს სვიფტიდან, ფიზიკურად ვერ გაყიდის.

***– ბევრი ფიქრობს, რომ რუსი ხალხი ბუნებით ისეთია, ამ კრიზისს გაუძლებს. თქვენ რას იტყვით?***

– არა, რა სისულელეა. თანამედროვე რუსეთზე ამას ვერ ვიტყვით, აბსოლუტურად სრული კომფორტის ზონაში არიან გადასული. იდეალურად არიან აზელილები ევროპასთან და ამერიკასთან, მათ უყვართ მოგზაურობა, უყვართ ტურიზმი, ფულის ხარჯვა და შოპინგი. რეალურად უდიდესი პრობლემები შეექმნებათ ამ კუთხით.

***– რეალურად რამდენ ხანში იგრძნობენ ამ ყველაფერს საკუთარ თავზე?***

– არავითარი რამდენი ხანი, უკვე გრძნობენ. რუსული სივრცე, სამწუხაროდ, ძალიან დახურულია, მაგრამ, რა ინფორმაციაც გამოდის, მოსახლეობას პანიკა აქვს. რეალური ინფორმაცია რომ მოიპოვო, უნდა ნახო სოციალური ქსელები, ადგილობრივი ბლოგერები, რამდენიმე დღეა, მათ ძალიან აქტიურად ვუზივარ. ბანკომატებთან სასწაული რიგებია, ბანკები ფულს აღარ იძლევიან, მინიმუმამდე დაიყვანეს რაოდენობა. რუსეთში უკვე რუსული რუბლის პრობლემაც კი დადგა, იმიტომ, რომ საომარ მდგომარეობაში ფულის ძირითადი ნაკადები მიემართება საომარ ფრონტზე და, როგორც გავრცელდა ინფორმაცია, რუსეთს არმიის შენახვა ერთი დღე 20 მილიარდი რუბლი უჯდება. წარმოიდგინეთ, ერთი დღე 20 მილიარდი რუბლი. აქ ერთი მთავარი ფაქტორი მოხდა და, შესაძლოა, სვიფტზე უფრო მძიმე სანქციაა, რაც გააკეთა ევროკავშირმა. ეს არის რუსეთის ეროვნული ბანკის გარერეზერვების გაყიდვა. აქ საუბარია 643 მილიარდ ევროზე, რომელიც იყო ერთგვარი დაზღვევა რუსული რუბლისა და რუსული ეკონომიკისა, კოლოსალურ ციფრებზეა საუბარი და, უხეშად რომ ვთქვათ, რუსეთი ამ ფულს ვერ მიიღებს, გაუყიდეს.

***– ეს სანქციები და ის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც, სანქციებიდან გამომდინარე, რუსეთში დაიწყება, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს დაანგრევს პუტინის იმპერიას?***

– მთავარი იარალი თანამედროვე რეალობაში ტანკი და შეიარაღება აღარ არის და ეს ამ მოვლენებმა ნათლად დაგვანახა. თანამედროვე მსოფლიოს იარაღი ეკონომიკაა და არა ტანკი და თოფი. ყველამ დავინახეთ, რომ ომი არის ლოჯისტიკა და ეკონომიკა და არა უშუალოდ მსროლელი. სწორი აქცენტები დააყენა ნამდვილად უკრაინამ და ძალიან არასწორად მიუდგა ამ ყოველივეს რუსეთი. რა კადრებიც ვრცელდება, აშკარად დემოტივირებულია რუსული არმია, ხოლო განსაკუთრებით მოტივირებულია უკრაინული დანაყოფები.



***– როგორია ჩვენი ქვეყნის მომავალი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ამ მოცემულობაში?***

– ეს ყველაფერი ძალიან მძიმე შედეგს მოგვცემს. ძალიან სამწუხაროა, რომ ბოლო 10 წელიწადში არაფერი არ გაკეთებულა იმისათვის, რომ რუსეთი ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორი აღარ ყოფილიყო. ამ პროცესებს მაქსიმალურად შეუწყო ხელი „ქართულმა ოცნებამ“ თავისი სტრატეგიული გადაწყვეტილებებით, რომ რუსეთი ყოფილიყო ჩვენთვის მთავარი დონორი და სავაჭრო პარტნიორი. დენი, გაზი, რა გითხრათ, ყველა კუთხით ეს ქვეყანა არის ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორი. სვიფტის გარეშე როგორ უნდა მოხდეს ანგარიშსწორება იმავე დენსა თუ გაზზე, წარმოდგენა არ მაქვს. მე მართლა არ ვიცი, არც მისწავლია არსად. ალბათ ამას ძველი თაობის ეკონომისტები გვეტყვიან, სანამ სვიფტი შემოვიდოდა, როგორ ხდებოდა მანამდე ანგარიშსწორება. მეორე პრობლემა არის ის, რომ პროდუქციაზე მოხდება ფასების კატასტროფული ზრდა. ფასები მოიმატებს საწვავზე, ელექტროენერგიასა და გაზზე, ასევე საკვებ პროდუქტებზე.

***– რა გვეშველება?***

– აქ მთავარი პრობლემა არის ერთი, როდესაც მთელმა მსოფლიომ, სპორტულმა სამყარომ, კულტურამ, თუ რამე სეგმენტი არსებობს განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში, ყველამ დაადასტურა, რომ ეს ქვეყანა, უბრალოდ, მსოფლიო რუკიდან უნდა გაქრეს, როგორც აგრესორი. შენ კი თავიდან ბოლომდე ამ ქვეყანაზე ხარ მიბმული. პოლიტიკოსის ვალიც ხომ ეგ არის, რომ განსაზღვროს მომავალი სწორად. როცა ამისკენ მიდის მსოფლიო და ხედავდი, საით მიდიოდა რუსეთი და ამ დროს შენ მთავარ სავაჭრო პარტნიორად იტოვებდი რუსეთს, უკვე დაუშვი სტრატეგიული შეცდომა. დაახლოებით ათი წელი დავკარგეთ, რომ ხელახალ ბაზარზე გავიდეთ და ხელახალი რესურსები ავითვისოთ. ასე რომ, გვექნება საკმაოდ მძიმე რამდენიმე წელი ფინანსური კუთხით. დამოკიდებული ვიქნებით საერთაშორისო დონორებზე და ამ ჩვენი განცხადებებით, რომელიც გაავრცელა ჩვენმა ხელისუფლებამ, ჩვენ როგორ დაგვიდგებიან გვერდით, აი, ეგ არის საკითხავი! ჩვენ არც ერთი ცივილიზებული სამყაროს მიერ გადადგმულ ნაბიჯში მონაწილეობა არ მივიღეთ. ჟარგონის ენით ვიტყვი, ეს ყველაფერი ძალიან „ტეხავს“. ყველგან ჩავიჭერით.

***– ზიანი იქნება დიდი და ეს დიდხანს გაგრძელდება?***

– დიდი იქნება და ორი წელი მაინც გაგრძელდება. ეს აისახება ფასებზეც.

***– ლარის კურსსაც მაშინვე დაეტყო.***

– ომის დაწყებიდან 8 საათში ეს იყო აბსოლუტური რეკორდი, საქართველოში 27 თეთრით მოხდა ვალუტის გაუფასურება. აქ, ვფიქრობ, რაღაც მაქინაციებთან გვაქვს საქმე. თუმცა ჯერ საომარი მდგომარეობაა და არ მაქვს ეს ფაქტი შესწავლილი ბოლომდე. მივყვები ამ ქეისს და, თუ აღმოჩნდა, რომ გარკვეულ „ვალუტჩიკობასთან“ და მაქინაციებთან გვაქვს საქმე, ეს ყველა დროის საერთაშორისო ამბავი იქნება, რომელშიც საქართველო გაეხვევა. იმედს ვიტოვებ, ასე არ იქნება. არაფერში არ ჯდება, რომ 8 საათში ან თუნდაც ერთ კვირაში უცებ, ყოველგვარი ზედმეტი ეკონომიკური ჩარევის გარეშე, ასე გაუფასურდეს ეროვნული ვალუტა. ეს არსად მომხდარა, იემენშიც კი!

# „72 საათი რომ გაუძლო უკრაინამ, ის უკვე გამარჯვებულია ამ ომში“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

იგივე გერმანია, ავსტრია, სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერები სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც აქამდე...

***– თავს იკავებდნენ და რბილი იყო მათი შეფასებები.***

– არა მარტო თავს იკავებდნენ, რეალურად მათშიც კი იგრძნობოდა პრორუსული განწყობები. ახლა ეს ადამიანებიც მიხვდნენ, რომ, საბოლოო ჯამში, რაც რუსეთმა გააკეთა, მათთვისაც კი წარმოუდგენელი იყო.

***– რა ზიანს მიიღებს ამ სანქციებით რუსეთი და რამდენად არის შესაძლებელი განრისხებული რუსეთის პრეზიდენტის შეკავება?***

– სანქციების შედეგი ძალიან მალე გამოჩნდება. ეს უკვე ჩანს და კიდევ უფრო პრაქტიკულად გამოჩნდება რიგითი რუსეთის მოქალაქეების დონეზე დღეიდან. მათი საფონდო ბირჟები, მათი საბანკო სისტემა განიცდის ძალიან დიდ წნეხს დღეიდან და ორშაბათ დილიდან, როგორც კი ბირჟები გაიხსნება, ეს იქნება ძალიან დიდი ნეგატიური სიურპრიზი მათთვის. ის, რაც უკრაინაში წამოიწყო კრემლმა ამ გეოპოლიტიკური ავანტიურის თვალსაზრისით პირდაპირპროპორციულად აისახება არა მარტო პრეზიდენტსა და მის უახლოეს ანტურაჟზე, რომლებსაც სანქციები დაედოთ, არამედ რუსეთის იმ მოქალაქეებზეც, რომლებმაც შეიძლება არც კი იცოდნენ, რეალურად თუ რას აკეთებს პუტინი უკრაინის ფრონტზე. ვფიქრობ, სანქციები იმუშავებს, ახლაც მუშაობს, თუმცა სანქციები რბილი ძალის ელემენტებია და ის ამართლებს იმ შემთხვევაში, თუ იქნება უწყვეტი მხარდაჭერა მყარი ძალის თვალსაზრისით. ის, რაც უკრაინელებმა ბოლო 72 საათში აჩვენეს, ჩემი აზრით, ლიდერობის, გამბედაობის უპრეცედენტო მოვლენაა უახლეს ისტორიაში.

***– საოცარი გამბედაობა აჩვენა უკრაინის პრეზიდენტმა როგორც თავისი ქვეყნის მოსახლეობას, ისე – მთელ მსოფლიოს.***

– აბსოლუტურად. ბევრი ადამიანი, მათ შორის ბევრი პოლიტიკური ლიდერი მსოფლიოში, გარკვეულწილად, დიდ სკეპტიციზმს ინარჩუნებდა პრეზიდენტ ზელენსკის მიმართ, გამომდინარე მისი წარსულიდან, მისი ნაკლები გამოცდილებიდან პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა, მე ვფიქრობ, ამ ადამიანმა დღეს ყველას დაუმტკიცა, რომ პოლიტიკური გამოცდილება არ არის გადამწყვეტი. შინაგანი მებრძოლი სული, შინაგანი სიმტკიცე, გულწრფელი პატრიოტიზმი, სიმტკიცისა და გამბედაობის საკუთარი მაგალითების ჩვენება – აი, ეს არის ის ყველაფერი, რამაც ბოლო 72 საათში უკრაინელებს მოაპოვებინა მორალური უპირატესობა რუსების „უძლეველ“ არმიაზე. ეს ძალიან დიდი, ფუნდამენტურად გარდამტეხი



მომენტიც შეიძლება აღმოჩნდეს ამ ომში.

***– ძნელია პროგნოზი, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს ყველაფერი და რა შედეგებით დასრულდება, მაგრამ მაინც როგორია თქვენი მოლოდინი, რა იქნება?***

– ჩემი აზრით, სუფთა სამხედრო უსაფრთხოების პრიზმიდან რომ შევაფასო, ნებისმიერ წინააღმდეგობის დროს აქვს თავისი ლიმიტები. არ უნდა დაგვავიწყდეს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკრაინელები ძალიან მედგრად და ღირსეულად იბრძვიან და მთელ მსოფლიოს აჩვენებენ გმირული ბრძოლის მაგალითებს, ამას აქვს, რა თქმა უნდა, თავისი ლიმიტები: ადამიანური, ტექნიკური, ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ასე შემდეგ.

***– ალბათ ფსიქოლოგიურიც.***

– ფსიქოლოგიურიც, რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახული აქვთ და, შესაბამისად, შიშის გრძნობა უკვე დაკარგეს, მაინც მგონია, რომ ეს ომი მალე უნდა გაჩერდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსული მძიმე ტექნიკისა და კიდევ დამატებითი ძალის მობილიზებისას ძალიან რთული იქნება უკრაინელების მხრიდან დიდი ქალაქებისთვის ბოლომდე ზღურბლის გამაგრება. კიევიც რომ დაიკავონ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უკრაინა დამარცხდა. 72 საათი რომ გაუძლო უკრაინამ, ის უკვე გამარჯვებულია ამ ომში. კოლოსალური ზიანი მიადგა რუსეთის სამხედრო ძალებს. ბოლო მონაცემებით, 4.700 რუსი სამხედროა მკვდარი, დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა აქვთ განადგურებული, ამავდროულად, ვერ მოიპოვეს საჰაერო უპირატესობა. უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ძალიან კარგად იმუშავეს. შესაბამისად, დასავლურმა ინფრასტრუქტურამ, რომელიც მათთვის იყო მიწოდებული ამერიკელებისა და განსაკუთრებით ბრიტანელების მხრიდან, ძალიან დიდი როლი შეასრულა უკრაინის თავდაცვის ეფექტიანობაში.

***– რამ შეიძლება გააჩეროს ეს ომი?***

– ომი შეიძლება გააჩეროს, ერთი მხრივ, დღეს უკვე რუსეთის მოსახლეობის მხრიდან კონკრეტული სანქციების დონეზე ნაგრძნობმა უხერხულობამ და პრობლემებმა. პუტინსა და მის ანტურაჟს განზრახული ჰქონდათ სწრაფი ეფექტით უკრაინის მთავრობის დამხობა, ამავდროულად, უცბად უკრაინის დამორჩილება და ამის გასაღება დიდ გამარჯვებად. რეალურად პუტინმა მიიღო ამის საპირისპირო. 4.700 რუსეთის სამხედროს დახოცვა ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანებს ჰყავთ მშობლები, მეუღლეები, ნათესავები და ასე შემდეგ.

***– ანუ, შესაძლოა, პუტინმა მიიღოს ჯანყი საკუთარ ქვეყანაში?***

– აუცილებლად ასე იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ღრმად ავტოკრატიული რეჟიმია, ამ დონეზე კონტროლი, უბრალოდ, შეუძლებელია. გარდა ამისა, არ დაგვავიწყდეს, რომ ოლიგარქიული კლეპტოკრატიული მმართველობა, საბოლოო ჯამში, ფინანსური ნაკადების ბაზისზე დგას. როდესაც ფინანსურ ნაკადებს უჩერებ ამ კონკრეტულ ადამიანებს, ოლიგარქებსა და სახელმწიფო მოხელეებს და მათ ქონებას აყადაღებ, ეს უკვე პირდაპირ მიანიშნებს იმას, რომ ბატონი პუტინის წამოწყება უკრაინაში ძალიან არაპრაგმატულად იყო გათვლილი. ამან კი შიგნით შეიძლება გამოიწვიოს ძალიან დიდი კრიზისი. ეს პროცესები უკვე დაწყებულია, დასავლეთი კარგად არის ორგანიზებული სამხედრო დახმარების თვალსაზრისით და უპრეცედენტო, წარმოუდგენელი კოორდინაცია ხდება დასავლეთში რუსეთის წინააღმდეგ.

***– მსოფლიო არის ერთსულოვანიო, ვამბობთ. როგორია ამ ფონზე ჩვენი ქვეყნის პოზიცია, უფრო ზუსტად, ჩვენი ხელისუფლების? სად ვართ ამ მოვლენების დროს ჩვენ, როგორ აფასებთ ჩვენი ხელისუფლების განცხადებებს?***

– რამდენიმე დღის წინ ჩემს უკრაინელ მეგობარს მივწერე და აბსოლუტურად გულწრფელად გაგიზიარებთ იმ სიტყვებს, რომლებიც მას მივწერე: ჩემს ცხოვრებაში სულ რამდენიმეჯერ შემრცხვენია იმ დონეზე, როგორც შემრცხვა სულ რამდენიმე დღის წინ, ბატონი ღარიბაშვილის განცხადება რომ მოვისმინე. ამ ადამიანმა გადაწყვიტა, მთელი საქართველოს სახელით ელაპარაკა ისე, რომ არც ერთ დონეზე არ მოუსმინა არავის. პარლამენტის კარი ჩაკეტეს, სადაც სრულიად საქართველოს წარმომადგენლობაა შეკრებილი. ის, რაც ღარიბაშვილმა თქვა, ამის თქმა შეიძლებოდა ბევრად უფრო ადამიანურ ენაზე უკრაინელებისთვის, იმ ადამიანებისთვის, რომლებთანაც მორალურ ვალში ვართ. 300 უკრაინელი იბრძოდა აფხაზეთის ომში ჩვენ გვერდით და ჩვენს ბიჭებთან და გოგოებთან ერთად იხოცებოდნენ. 2008 წელს მათი პრეზიდენტი აქ იდგა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად.

***– უფრო მოქნილი და ტაქტიანი უნდა ყოფილიყო ღარიბაშვილი?***

– არა მარტო უტაქტო იყო მისი განცხადება, პოლიტიკურადაც არასწორი გზავნილი გააკეთა. როდესაც სრულიად სამყაროს 100% დგას უკრაინის მხარეს, მას ასეთი განცხადება არ უნდა გაეკეთებინა. მას უნდა ეთქვა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად მხარს უჭერს უკრაინას, მაგრამ ეკონომიკურ სანქციებს არ კი არა, ვერ შევუერთდებით. ამ სიტყვებში ძალიან დიდი განსხვავებაა.

***– ღარიბაშვილის მხრიდან ეს განცხადება გაუთვლელი იყო თუ მიზანმიმართული?***

– ეს უფრო წააგავდა მიზანმიმართულ განცხადებას და იყო ძალიან სამარცხვინო. იშვიათად შემრცხვენია ასეთ დონეზე და ეს იყო ერთ-ერთი სამწუხარო გამონაკლისი. ამაზე მეტს, უბრალოდ, აღარაფერს ვიტყვი.

***– ბატონო კახა, როდესაც თქვენმა გუნდმა ასე მწვავედ გააკრიტიკა პრემიერი, მოვისმინეთ შეფასებები, რომ ეს იყო განცხადება, ხოლო გახარიას პრემიერობის დროს ქვეყანაში შემოვიდა გავრილოვი და იყო 20 ივნისი. ამაზე რით უპასუხებთ? როდესაც ხართ კრიტიკულები, მაშინვე ამის საპირწონედ ჩნდება 20 ივნისის თემა.***

– 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ბატონ გახარიას პოლიტიკური პასუხისმგებლობა არასდროს აურიდებია. სწორედ ეს იყო ნამდვილი, ძლიერი პოლიტიკური ლიდერის ბედი და, ამავდროულად, საკუთარი პოლიტიკური წილი ამ კონკრეტულ კონტექსტში. აქ პრობლემა დუმის ერთი რიგითი დეპუტატის შემოშვებაში კი არა იყო, ეს პრობლემა გაცილებით უფრო ფართო იყო, როდესაც მაშინდელმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაწევრიანებულიყვნენ იმ ღონისძიებაში, ეს ღონისძიება გამართულიყო საქართველოში და მთავარი, რაც პარტიული ლიდერების პასუხისმგებლობის საკითხია და მაშინ გახარია მინიმალურ დონეზეც კი არ ერეოდა პარტიულ საქმიანობაში, პარტიის გადაწყვეტილება იყო, რომ ის ჩაეტარებინათ პარლამენტის შიგნით. გავრილოვი რომ პარლამენტში და სპიკერის სავარძელში აღმოჩნდა, ეს კობახიძის პასუხისმგებლობა იყო. იმდროინდელი ძალოვანი უწყების 99,9% გაბრაზებული ხალხის განწყობას სრულად იზიარებდა და მათ იმ სიცხეში სასმელი წყლითაც კი ამარაგებდა, სანამ აგრესიულ ქმედებაში არ გადაიზარდა ყველაფერი და პარლამენტში შეჭრა არ ცადა ერთმა ჯგუფმა. მიტინგი რომ მშვიდობიანი ყოფილიყო, პოლიციაც მათ მხარეს იყო. როგორც მაშინდელი პროცესების მემატიანე, ამას სრულიად გულწრფელად გიზიარებთ. პირიქით, გახარიას სიძლიერეა ის, რომ ის არ გაჰქცევია ამ პასუხისმგებლობას, სხვებისგან განსხვავებით, რომლებიც ჩირგვებში იმალებოდნენ.

# რა პოზიცია დაიკავა საქართველომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ?

## ოკუპირებულმა აფხაზეთმა დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობა“ აღიარა

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა განაგრძობს შფოთვას პრემიერ ღარიბაშვილის მიერ პარასკევს გაკეთებული განცხადების გამო. ხალხისთვის გაუგებარია უკრაინის საომარი მოვლენებისგან მოკავშირე საქართველოს გამიჯვნა და ამის ახსნა „ეროვნული ინტერესებით“.

ღარიბაშვილმა გამოაცხადა, რომ საქართველო არ შეუერთდება რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებს, ან მოიწვევს უსაფრთხოების საბჭოს სხდომას, პარლამენტის რიგგარეშე სხდომას.

საზოგადოება მიჩვეულია საქართველოს ხელისუფლების ორჭოფულ, გაუგებარ და ხანდახან პირდაპირ პრორუსულ პოზიციებს ამა თუ იმ საკითხზე. ახლანდელი შემთხვევა მაინც სხვა იყო. ეს განცხადება გაკეთდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, იმ დროს, როცა უკრაინაში სისხლი იღვრება.

საქართველოს ხელისუფლება უკრაინას ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს. ის დგას ცივილიზებული მსოფლიოს გვერდით გაეროში. აღნიშნული განცხადების გამო „ოცნების“ მმართველ გუნდს მაინც გაუჭირდება იმ ლაქის ჩამორეცხვა, რომელიც მას მოეცხო. საქართველოს პრეზიდენტი მიწვეულია პარიზსა და ბრიუსელში. იგი ტელეფონით ესაუბრა საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტ მიშელს. რასაკვირველია, საქართველო რჩება დასავლეთის ნაწილად და ევროპული უსაფრთხოების სისტემის შემადგენლად, თუმცა ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველო სხვა გზას დაადგა.



დასავლეთი უკრაინის საკითხში ახლა უფრო ერთიანია, ვიდრე იანვარში. მაშინ მსოფლიო მსჯელობდა კრემლის მიერ წამოყენებულ „უსაფრთხოების გარანტიებზე“, ფაქტობრივად, პუტინის ულტიმატუმებზე.

ევროკავშირმა, აშშ-მ და კანადამ მიაღწიეს რთულ შეთანხმებას რუსეთის რამდენიმე ბანკის სვიფტის სისტემიდან გათიშვაზე. ევროკავშირის ლიდერები აცხადებენ, რომ მოხდება რუსეთის „ცენტრობანკის“ აქტივების პარალიზება, რუს ოლიგარქებს არ ექნებათ წვდომა ევროკავშირის ბაზრებზე. მსოფლიო ფინანსური სისტემა სვიფტიდან გათიშული არიან ჩრდილოეთ კორეა და ირანი. რუსეთი მათ რიგებს მიუერთდება.

ბევრი თანხმდება, რომ პუტინის მიერ წამოწყებული ომი ყველაზე დიდი საფრთხეა მსოფლიოსთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

„ნიუ იორკ თაიმსის“ შეფასებით, პუტინმა გააჩაღა მეორე ცივი ომი და ჩააბა ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე საშიშ კონფლიქტში. მომავალი დღეები და კვირები გახდება მძიმე გამოცდა დასავლეთისათვის. დასავლურმა ალიანსმა აჩვენა იშვიათი ერთიანობა. დასავლეთი უფრო ძლიერია მაშინ, როცა ერთობლივად გამოდის საერთო ფასეულობებისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ.

გამოცემის დასკვნით, პუტინის მიერ ომის გასაჩაღებლად წამოყენებულ საბაბებში მცირე სიმართლეა და სუსტი მეზობლის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების გასამართლებლად არ გამოდგება. არავის, პუტინის გარდა, არა აქვს წარმოდგენა, რა მოხდება უახლოეს კვირებში, თვეებში და, შესაძლოა, წლებში. ბაიდენის მიერ აქამდე დაწესებულმა სანქციებმა პუტინი ვერ შეაჩერა. იგი მზად იყო ზიანისთვის. ახლა პუტინი აკვირდება, გაუძლებს თუ არა დასავლეთი.

უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებებისა და კრიზისის ხანგრძლივობას პროგნოზირებს საფრანგეთის პრეზიდენტი:

– ეს კრიზისი ხანგრძლივი იქნება. ეს ომი დიდხანს გასტანს. მასთან დაკავშირებული ყველა კრიზისიც ხანგრძლივი იქნება. ჩვენ ამისთვის უნდა მოვემზადოთ.

სიძნელეებისთვის ემზადებიან რუსეთი და ბელარუსიც. უკრაინელების წინააღმდეგ ომში მონაწილე ლუკაშენკო აცხადებს:

– რუსეთსა და ბელორუსიას ყველა გვაშინებს. ისე გვაშინებდნენ სანქციებით, რომ შიში გაგვიქრა. გვაქვს ტრაქტორები, ტექნიკა, დავბარავთ, თესლი გვაქვს. ესე იგი, არ დავიხოცებით. ხალხის შემოსვასაც მოვახერხებთ. ყველაფერი გვაქვს.

– სამხედრო ოპერაცია – ეს არის ტრაგედია უკრაინისთვისაც და რუსეთისთვისაც. პრეზიდენტ პუტინის ქმედებებმა რუსეთი სრულ იზოლაციამდე მიიყვანა. ქვეყანა წააწყდა ფართო სანქციებსა და უაზრო სისხლისმღვრელ ომს, – ასე აფასებს მოვლენებს დიდი ბრიტანეთის პრემიერი ჯონსონი.

აგრესიას წინააღმდეგობას უწევენ რუსეთშიც. პროტესტი მასობრივი და ორგანიზებული არ არის, თუმცა თვალსაჩინოა.

ომის შეწყვეტას მოითხოვს ელცინის სახელობის საპრეზიდენტო ცენტრი, რომელიც ეკატერინბურგში მუშაობს.

– ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას, რომელიც გვაკისრია ძმათამკვლელი ომის დროს ჩვენ, უფრო ძლიერ მხარეს. შეაჩერეთ საომარი მოქმედებები, – მოუწოდებს ხელისუფლებას ელცინის ცენტრი.

ოკუპირებულმა აფხაზეთმა კრემლის კვალდაკვალ აღიარა დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობა“.

ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონს ეს არ დასჭირდა, ვინაიდან ეს „აღიარება“ რამდენიმე წლის წინ მოახდინა, ბუნებრივია, კრემლის მითითებით.

ამჟამად ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი პროვოკაციებითაა დაკავებული. 25 თებერვალს ბიბილოვმა ცხინვალის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოაცხადა, თითქოს „საქართველოში მიმდინარეობს სამხედრო ტექნიკის კონცენტრაცია“.

სხვა დავალებებთან ერთად, ბიბილოვმა დაავალა ე.წ. თავდაცვის სამინისტროს, შეიმუშაოს რუსეთიდან დახმარების გაწევის შესაძლებლობა „ხელშეკრულების შესაბამისად“.

თბილისიდან ბევრჯერ გაისმა, რომ არავინ ჯარით ცხინვალში შესვლას არ აპირებს. შესაბამისი კომენტარები მოჰყვა უკრაინის რადის დეპუტატ გონჩარენკოს შეძახილს, რომ ქართველებს ამ მომენტში შეუძლიათ თავიანთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა.

# „პუტინს, ერთადერთი, შვილმკვდარი დედების ეშინია“

## თენგიზ დიხამინჯია: „პუტინი მკვდარია. თამაში წააგო. მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.**

***– ბატონო თენგიზ, ოთხი დღეა, მთელი მსოფლიო უკრაინასა და მის დედაქალაქ კიევზე რუსეთის ფართომასშტაბიანი შეტევის მოწმეა. როგორ აფასებთ რუსეთისა და პუტინის ქმედებებს?***

– რუსეთის უკრაინაზე შეტევა მანიაკალური შემთხვევაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირველად კონცენტრირებული ჯარით შუა ევროპაში ფართომასშტაბიანი, საომარი, დივერსიული ოპერაცია დაიწყო.

სანამ ომი დაიწყებოდა, უზენაესი საბჭოს წევრებმა (დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამფუძნებლებმა) ნოდარ ნათაძემ, პაატა კოღუაშვილმა, ანზორ სიჭინავამ, ნიკოლოზ სანებლიძემ, თემურ მჟავიამ, მამა როსტომმა (ლორთქიფანიძემ), სალომე ზვიადაძემ, ავთანდილ იმნაძემ, გივი თაქთაქიშვილმა და სხვებმა მიმართვა გავუგზავნეთ უკრაინის რადას და თანადგომა გამოვუცხადეთ უკრაინელ ხალხს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ქვეყნის სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად. მოხიბლული და აღტაცებული ვართ იმ გმირული თავდადებით, რომელსაც უკრაინელი ხალხი იჩენს პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ.

პუტინმა ყოველგვარი საერთაშორისო ნორმის, საერთაშორისო სამართლის, ბუქარესტის შეთანხმების დარღვევით უკრაინასთან ომი დაიწყო. ბუქარესტის შეთანხმებით, უკრაინას ბირთვულ არსენალზე უარი ათქმევინეს და ტერიტორიული მთლიანობის გარანტია მისცეს. ამაზე რუსეთსაც ხელი აქვს მოწერილი.

***– რა უნდა პუტინს, რატომ ვერ ძღება ტერიტორიების მიტაცებით?***

– რა უნდა ამ მანიაკ ადამიანს? ვერ ძღებიან იმით, რომ პუტინს განდიდების მანია აქვს. ამას ფსიქოლოგები სუპერეგოს ეძახიან, როდესაც ეგოცენტრიზმი ძალიან მაღალ წერტილში ადის, თავბრუდამხვევი წარმატებები თავისი წარმატება ჰგონია და ეჯიბრება სამ ძირითად ისტორიულ პერსონას – ლენინს, სტალინსა და ტროცკის. პუტინს უნდა, მათზე მეტი გააკეთოს.

პუტინი შორს წავიდა, ამბობს, რომ არა მარტო საბჭოთა კავშირის (სსრკ-ის დაშლას ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფად მიიჩნევს), არამედ რუსეთის იმპერიის აღდგენა უნდა, ანუ ლენინამდე რაც იყო, იმ იმპერიის აღდგენაზე დებს თავს. ისტორიაში ამ სახით უნდა შესვლა. ეს არის პუტინის სტრატეგიული, ეგოცენტრული ამოცანა. ასეთი ადამიანი ძალიან საშიშია.

***– პუტინის ეს გეგმები მიღწევადია?***

– მიღწევადი როგორ იქნება. ჰიტლერმა, რომელიც უფრო დიდი იყო, ვიდრე ეს არარაობაა, სრული კატასტროფა განიცადა, რადგან მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდა. თუ შევხედავთ ძალთა თანასწორობას, მისი მოკავშირე მხოლოდ ბელორუსია. ჩინეთი თავს იკავებს, ცდილობს, თავისი პოზიციები გაიმყაროს და სარგებლობა მიიღოს. ამ სიტუაციაში ძირითადად ორი გამარჯვებული იქნება: ჩინეთი და აშშ, რომელიც პირველი და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სუპერსახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

***– ამბობთ, პუტინი ლენინს ეჯიბრებაო.***

– პუტინი ლენინს ეჯიბრება და აკრიტიკებს, ამბობს, ლენინმა არასწორად შეადგინა იმპერიის რუკა და დიდი ტერიტორიები უსამართლოდ დაუთმო უკრაინასო, თვითონ კი ცდილობს, ეს ისტორიული სამართლიანობა აღადგინოს. პუტინი ამ იდეითაა აღჭურვილი, თუმცა ლენინი, რომლის იდეოლოგიას პუტინი ებრძვის, ცოცხალი კერპის სახით მავზოლეუმში უწევს.

პუტინს ქვეყანაში მეტოქე არ ჰყავს. არავითარი შინაგანი წინააღმდეგობა მას არ აქვს. ეკლესია თავიდან ბოლომდე დაიმორჩილა. საუბედუროდ, უდიდესი კულტურის, იდეისა და მსოფლმხედველობის მქონე რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, იმის მაგივრად, რომ ქრისტეს იდეა დაეცვა, ვლადიმერ პუტინის, ამ წითელი დიქტატორის იარაღად გადაიქცა.

***– ჩანს, რუსეთის ეკლესია განაწყენებულია უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.***

– ეგ რუსულ ეკლესიას არ ამართლებს. ეგ უფრო რელიგიურ-პოლიტიკური საკითხია და ქრისტეს ღალატს არ ამართლებს, რომელიც ბავშვების დაბომბვასთან, უდანაშაულო ადამიანების დახოცვასთანაა დაკავშირებული. რუსეთის პატრიარქმა კირილმა და მღვდელთმთავრებმა პილატესავით ხელები დაიბანეს.

***– რა უნდა გაეკეთებინათ?***

– ძმათამკვლელი ომის შუაგულში უნდა ჩამდგარიყვნენ, თავი უნდა გაეწირათ, რაც მაგალითი იქნებოდა. პეჩორის ლავრა (სადაც ორჯერ ვარ ნამყოფი) უდიდესი ქრისტიანული, წმინდა ადგილია, სადაც იდუმალებით, მსოფლმხედველობით შემკული, მრავალსაუკუნოვანი სულიერი საგანძურია. ის ეკუთვნის არა მარტო რუსეთსა და უკრაინას, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროს. იქ უნდა ჩამდგარიყვნენ და დიალოგი გაემართათ, რაც ვერ გარისკეს. როდესაც წითელი ბოლშევიზმის ინსტრუმენტად გადაიქცევი, იქ ქრისტეზე, სულიწმიდასა და მაღალ იდეალებზე ლაპარაკი ზედმეტია.

***– როგორც ვიცი, უკრაინაში გარკვეულ პირებთან კავშირი გაქვთ. რას გეუბნებიან ისინი, რა ვითარებაა?***

– თქვენთან დაკავშირებამდე 5 წუთით ადრე ველაპარაკე ჩემს უახლოეს მეგობარს, რომელსაც ცოლ-შვილი კიევში ჰყავს. უკრაინელები არიან, 9 და 15 წლის ბავშვები ჰყავთ. ისინი სარდაფებში იმალებიან. საჭმელი გამოელიათ, ჯურღმულში არიან. ტელეფონის დამუხტვაზე რიგებია. გარე სამყაროსთან კომუნიკაცია წყდება.

არ მოელოდნენ, რომ კიევზე ტოტალური შეტევა განხორციელდებოდა და ყველა მოუმზადებელი შეხვდა. კიევის სიახლოვეს ხიდი რომ ააფეთქეს, ეჭვობენ, რომ ჩეჩნური ბატალიონი იბრძოდა. ხელჩართულ ბრძოლებს ელოდებიან. იქნებ რაღაც პერიოდში გზა გაიხსნას. იმედი მაქვს, ეს კოშმარი დიდხანს არ გაგრძელდება. ბავშვების სიცოცხლე გადასარჩენია. შეიძლება, ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ, კარგი იქნებოდა, წითელ ჯვარს დერეფანი გაეხსნა და ბავშვებისა და მოხუცების გაყვანის გარანტი ყოფილიყო.



***– უკრაინიდან წითელ ჯვარს მოუწოდეს, ჩაერთოს და რუსების ცხედრები გადაიტანოს რუსეთში.***

– რუსები ამაზე ხელს იბანენ. პუტინს, ერთადერთი, შვილმკვდარი დედების ეშინია, რომ არ აუმხედრდნენ, პროტესტმა მასობრივი ხასიათი არ მიიღოს და მკვლელობის ლეგიტიმაცია ჰქონდეს. რუსული საეკლესიო ადმინისტრაციისა და პოლიტიკოსებისაგან ლეგიტიმაცია ხომ მოიპოვა, ამიტომ პუტინს, ერთადერთი, კუბოების სიმრავლისა ეშინია.

***– კადრები გავრცელდა, რუსების სამხედრო ავტომობილებს ისეთი დანადგარები აქვს მიბმული, ეჭვობენ, რუსები თავიანთ გარდაცვლილებს კრემაციას უკეთებდნენო.***

– შეიძლება, ასეცაა. პუტინი ყველაფერზე ხელის მომწერი ადამიანია და უკან არაფერზე დაიხევს. მას უკანდასახევი აღარ აქვს. კაცი რუსული იმპერიის აღდგენის აკვიატებული იდეითაა შეპყრობილი, შეეცდება, რაღაც მინიმუმს ხელი მაინც გამოჰკრას, რომ დანარჩენ სამყაროსთან სავაჭრო ჰქონდეს, მით უმეტეს, პუტინის, ლავროვის, მათი „შაიკისა“ და მათი ოჯახის წევრების ქონებას სანქციები დაუწესეს, რადგან სხვანაირად ვერ აჩერებენ.

თუმცა მათთვის დაწესებულმა სანქციებმა, შეიძლება, პუტინში უკიდურესი ქმედება გამოიწვიოს. მისი პროგრამა მაქსიმუმი იმპერიის აღდგენაა, მინიმუმი იქნება რაღაც სტრატეგიული ადგილების აღება, როგორიცაა კიევი, მარიუპოლი და წყალსაცავი, რომელიც მთელ უკრაინას ამარაგებს. შანტაჟს მიმართავს ჩერნობილით. პუტინი თავისი ძლევამოსილებით ძალიან საშიში ადამიანია.

თუ უკრაინელმა ხალხმა გაუძლო (არ გამოვრიცხავ), კიევიც რომ დაეცეს, არაფერს შეცვლის, რადგან უკრაინის ლიდერი, ებრაული წარმოშობის უკრაინელი, ძალიან ღირსეული ადამიანი აღმოჩნდა. ეს ადამიანი ლიდერად დაიბადა. დარწმუნებული ვარ, ამ ლიდერობის ტვირთი მას არ გაჭყლეტს და მოლაპარაკებას სწორად წარმართავს. მოლაპარაკებაზე რამდენიმე იდეა გახმოვანდა. ლუკაშენკოსაც თავის გადარჩენა უნდა.

***– ლუკაშენკო გადარეულია, კიევიდან რატომ არ დამირეკესო.***

– ახლა ასე იმიტომ ლაპარაკობს, ხვდება, მთელ მსოფლიოსთან დაპირისპირება უწევს. ისეთი თამაში წავიდა, ეგ ახლა მინსკის გუბერნატორია, სახელმწიფოებრიობა კი – იმიტაცია.

***– დასავლეთის ძალისხმევაზე რას იტყვით?***

– დასავლეთი გამოაფხიზლა უკრაინელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ და დაღვრილმა სისხლმა. რაც ხდება, ყველაზე კარგად ანგლოსაქსების ლიდერი ჯონსონი მიხვდა, რომელიც ცდილობს, აიყოლიოს დანარჩენები. აღსანიშნავია ერდოღანის ინიციატივაც, რომელმაც უთხრა, რომ ნახევარფაბრიკატული მოქმედებებით ნატო თავის მისიას ვერ აღასრულებს, პუტინს ვერ შეაჩერებს. ამას ამბობს კაცი, რომელიც პუტინთან ერთად სირიაში ომობდა და უდიდესი პროექტები აქვს გაკეთებული. ამაზე უნდა დაფიქრდეს ჩვენი ხელისუფლებაც, თუ რაზე წავიდა ერდოღანი და რა თამაშზეა საუბარი.

ზელენსკიმ ჯერ ნეიტრალიტეტზე დაიწყო საუბარი, შემდეგ ევროკავშირში მიღება მოითხოვა. ნეიტრალიტეტი ცალკე არ არსებობს, თან, ვითარებას გააჩნია, შვეიცარიაში ამის გაკეთება ადვილია, მეზობლებად ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლები ჰყავს. ნეიტრალიტეტი თვითონ ჰიტლერმაც კი არ დაარღვია. ფინეთსა და შვედეთსაც ეშინიათ უკვე და ნატოს კარს უკაკუნებენ, დამფრთხალები არიან, რადგან იციან, ვისთან აქვთ საქმე, ცდილობენ მსოფლიო საზოგადოებისაგან გარანტიები მიიღონ.

ბოლოს ზელენსკიმ ევროკავშირში მიღებაზე განაცხადა, რადგან ევროკავშირიდან მიღებული ნეიტრალიტეტი სულ სხვაა, რომლის მაგალითია ევროკავშირის ფარგლებში ავსტრიის ნეიტრალიტეტი. ეტყობა, ლუკაშენკო რაღაცას მიხვდა, რომ უნდა, მოლაპარაკება მასთან შედგეს, ანუ ორმაგი თამაში ითამაშოს პუტინთან და დანარჩენ სამყაროსთან. ამით შეიძლება პუტინმა თავი გადაირჩინოს. ჯერჯერობით პატარა შანსი კიდევ აქვს.

***– რა შანსი?***

– საბრალდებო სკამზე გეუბნებით.

***– რომ სიკვდილს არ მიუსჯიან?***

– დიახ. პერსპექტივაში პუტინი მკვდარია. თამაში წააგო. მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდა. მისი ოჯახისა და კლანის წარმომადგენლებზე სანქციებმა უკვე რეალური სახე მიიღო. ყველანაირი ბერკეტია ამუშავებული, რაც ფრთხილადაა გასაკეთებელი, რადგან კუთხეში მიმწყვდეული ვირთხაც კი ყველაზე მაგრად იკბინება და შეუძლია, ყველაფერზე წავიდეს.

მაგ მდგომარეობამდე არ უნდა მიიყვანო, რაღაც გარდამავალი სივრცე უნდა შეუქმნა, რომ კაცობრიობას საშიშროება არ დაემუქროს. ჩვენთვის უკრაინა იგივეა, რაც ბიზანტიის იმპერიის დროს – კონსტანტინეპოლი. კონსტანტინეპოლი დაეცა თუ არა, ვითარება აბსოლუტურად შეიცვალა, ახალი მსოფლიო წესრიგი ჩამოყალიბდა. აქედან ყველაზე მეტად საბერძნეთი და საქართველო დაზარალდნენ, რომლებმაც დიდი ტერიტორიები დაკარგეს.

საქართველოს, რომელიც ერთ დროს დიდი იმპერია იყო თავისი კავკასიური შემადგენლობით, რომშიც ფარსმანს ძეგლი დაუდგეს და დიდი პერსპექტივა ჰქონდა, ჩამოაჭრეს ლაზეთი, ჭანეთი, ტაო-კლარჯეთი, ჰერეთი და სხვა ტერიტორიები. ბოლშევიზმისა და ათათურქის გარიგების შედეგად რაც მოგვივიდა, ვიცით. უკრაინის დაცემა კონსტანტინეპოლის დაცემის ტოლფასი იქნება თავისი შედეგებით. ამიტომ საქართველოს მოსახლეობის პოზიცია სწორია, უკრაინელ ხალხს თანადგომას რომ უცხადებს.

# პროკურატურამ ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის დაფარვისთვის ირაკლი ბიბინეიშვილს ბრალი წაუყენა

საქართველოს პროკურატურამ ნიკოლოზ კვარაცხელიას განზრახ მკვლელობის საქმეზე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისათვის დაკავებულ ერთ პირს ბრალი წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობითვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ირაკლი ბიბინეიშვილისთვის ცნობილი იყო, რომ ალეკო ჭელიძეს და გიორგი კავილაძეს, 2021 წლის 15 სექტემბერს ჩადენილი ჰქონდათ ნიკოლოზ კვარაცხელიას განზრახ მკვლელობა და რომ იძებნებოდნენ პოლიციის მიერ. ამასთან, მიუხედავად ამისა, მან, წინასწარ შეუპირებლად, დაფარა ბრალდებულთა ადგილსამყოფელი, არ შეატყობინა სამართალდამცავებს და მათ მისცა თავშესაფარი თავის საცხოვრებელ სახლში.

კერძოდ, პროკურატურის ინფორმაციით, ალეკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე 2021 წლის 19 სექტემბერს ღამით, დაახლოებით 02:03 საათზე მივიდნენ ი.ბ.-ს სახლში და ღამე გაათენეს ამ უკანასკნელთან, ხოლო იმავე დღეს დაახლოებით 16:00 საათზე ი.ბ.-ს მიერ გამოძახებული ტაქსით დატოვეს ტერიტორია.

სამართალდამცველებმა ი.ბ. 2022 წლის 24 თებერვალს მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მესამე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ორიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმის პროკურორ გია შაიშმელაშვილის განცხადებით, აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულ პირთა წრე, „დიდი ალბათობით, გაიზრდება".

შაიშმელაშვილის თქმითვე, ამ ეტაპზე გამოძიების მიერ კონკრეტული პირების მხილების მიზნით დამატებითი მტკიცებულებების შეკრება მიმდინარეობს, ნაწილთან მიმართებაში კი უკვე დამატებითი ინფორმაციის მოძიებაც ხდება.

რაც შეეხება დანაშაულის დაფარვაში ბრალდებულ ირაკლი ბიბინეიშვილს, როგორც საქმის პროკურორი აღნიშნავს, ის ბრალდებულებს – გიორგი კავილაძესა და აკო ჭელიძეს უსაფრთხო ადგილზე გადასვლაში დაეხმარა.



– კონკრეტულ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილია მოწმეთა ჩვენებები, რომელთა მიხედვითაც, ბრალდებულმა იცოდა, რომ ორივე ბრალდებულს ჩადენილი ჰქონდა ნიკოლოზ კვარაცხელიას განზრახ მკვლელობა, მასთან სახლში მივიდნენ და ამ ყველაფრის მიუხედავად, ბრალდებულმა მათ თავშესაფარი მისცა, დაეხმარა, რომ გარკვეული პერიოდი მასთან ეცხოვრათ და სამართალდამცავ ორგანოებს დამალვოდნენ. ამ ყველაფრის შემდეგ მან ბრალდებულებს ტაქსიც გამოუძახა და მისცა საშუალება, რომ სხვა, უსაფრთხო ადგილზე გადასულიყვნენ, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

ირაკლი ბიბინეიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ არსენ კალატოზიშვილმა გამოაცხადა.

25 თებერვლის სხდომაზე დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელეს.

პროკურატურა ბიბინეიშვილის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის გამოყენებას, დაცვის მხარე კი, მისი 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა.

პროკურორ გია შაიშმელაშვილის განმარტებით, ბრალდებულის მხრიდან მიმალვის, მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არსებობს.

ბრალდების მხარის განმარტებით, ირაკლი ბიბინეიშვილმა ბრალდებულები – გიორგი კავილაძე და აკო ჭელიძე ნიკა კვარაცხელიას მკვლელობიდან 4 დღის შემდეგ, სახლში შეიფარა.

დაცვის მხარე ბრალდების მხარის შუამდგომლობას არ დაეთანხმა. ადვოკატ დავით ხარატის განმარტებით, ბიბილეიშვილი მართლმსაჯულებას არასდროს გაქცევია, სასჯელის შიშით მიმალვა რომ სდომებოდა, ამ რამდენიმე თვის განმავლობაში მიიმალებოდა. ხარატის თქმით, 5.000-ლარიანი გირაო აღკვეთის მიზნებს უზრუნველყოფს.

მისივე თქმით, ის ბრალდებულთან ერთად სამართალდამცავ ორგანოში გამოსაცხადებლად მიდიოდა, როდესაც ბიბილეიშვილი დააკავეს.

ადვოკატის განმარტებით, საქმის რეზონანსულობა არ უნდა წყვეტდეს პატიმრობას, ვინაიდან, ეს რომ „სხვა" შემთხვევა ყოფილიყო, თავად ბრალდების მხარე არ მოითხოვდა პატიმრობას.

თავად ბრალდებულს სასამართლო პროცესზე არ უსაუბრია.

პროკურორ გია შაიშმელაშვილის კითხვაზე, თუ რა პოზიცია აქვს თავად ბრალდებულს ბრალთან მიმართებით, ირაკლი ბიბინეიშვილმა განაცხადა, რომ ის დუმილის უფლებას იყენებს.

# ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე დასკვნით ეტაპზეა

„მთავარი არხის" ერთ-ერთი დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე დასკვნით ეტაპზეა.

25 თებერვლის სასამართლო პროცესზე პროკურატურამ დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა, დაცვის მხარე კი დასკვნით სიტყვას მომდევნო სხდომაზე წარმოთქვამს, რის შემდეგაც მოსამართლე განაჩენის გამოსატანად გავა.

პროცესს ორი ბრალდებული ესწრებოდა, ნიკა გვარამია კი სხდომაზე არ იმყოფებოდა.

პროკურატურა საკუთარ დასკვნით სიტყვაში აცხადებს, რომ აღნიშნულ საქმეზე არაერთი დამაჯერებელი მტკიცებულება აქვს წარმოდგენილი, რითაც, ბრალდებულების მხრიდან ფინანსური დანაშაულის ჩადენა დასტურდება.

საქმის პროკურორ ზვიად გუბელაძის, განმარტებით, აღნიშნული ფინანსური დანაშაულის შედეგად „რუსთავი 2"-ს 7 მილიონ ლარაზე მეტი ზიანი მიადგა.

შეგახსენებთ, გენერალურმა პროკურატურამ 2020 წლის 6 სექტემბერს, „რუსთავი 2"-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე „რუსთავი 2"-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორს კახა



დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის" დირექტორს ზურაბ იაშვილს წაუყენა.

ნიკა გვარამიას ბრალად ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით „რუსთავი 2"-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ნიკა გვარამიას ასევე ბრალად ედება სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახით 40.000-ლარიანი გირაო შეეფარდა, ამასთან, მას ქვეყნიდან გასვლის უფლება შეეზღუდა.

კახა დამენიას გამოძიება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში ედება, რაც ჩადენილი იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დამენიას აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო შეეფარდა. მას ასევე, აეკრძალა სახელმწიფო საზღვრის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება ზურაბ იაშვილს, მას ბრალად ედება კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება.

იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული.

## ადვოკატი: „შსს-ს მთავარი სამმართველოს უფროსმა თქვა, რომ სააკაშვილი ინტერპოლით ძებნილი იყო"

### „ეს არის ცრუ ჩვენება, პროპუტინური პროპაგანდის გაგრძელება"

– შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსმა თქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი ინტერპოლით ძებნილი იყო. ეს არის ცრუ ჩვენება, პროპუტინური პროპაგანდის გაგრძელება.

ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ განაცხადა.

როგორც ის განმარტავს, მთავარი სამმართველოს უფროსმა ალექსანდრე შეყილაძემ 24 თებერვალს სასამართლოში ცრუ ჩვენება მისცა.



აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ბასილაიამ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარეს რეაგირების მოხდენისკენ მოუწოდა.

– მიხეილ სააკაშვილის ძებნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ორ სახელმწიფოშია მიღებული – რუსეთის ფედერაციაში და საქართველოში. რაც შეეხება მეორე, მნიშვნელოვან საკითხს, მოისმინეთ არაერთი პოლიციელის ჩვენება, მათ შორის, შეყილაძის ჩვენება, რომლითაც დადასტურდა, რომ ამ საქმეზე ერთი კაციც არ მოიპოვება, რომელიც განაცხადებდა, რომ პოლიციამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სპეცსამსახურებმა პირველ ოქტომბრამდე იცოდნენ მიხეილ სააკაშვილის სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

შეყილაძე ამბობდა, შეიძლება, ჩემმა უფროსებმა იცოდნენ, გასაიდუმლოებული იყო და ჩემამდე არ მოსულა ინფორმაციაო.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მიხეილ სააკაშვილის სამშობლოში შემოსვლასთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ, ვიდრე თავად არ დადო საქართველოში ყოფნის დამადასტურებელი ვიდეო, – განაცხადა ბასილაიამ.

## რა შემთხვევაშია სააკაშვილის სასჯელის გადავადება შესაძლებელი

### საქმის პროკურორის განმარტება



საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქმის პროკურორი, ლევან ვეფხვაძე განმარტავს, თუ რა შემთხვევაშია სასჯელის გადავადება შესაძლებელი.

როგორც ვეფხვაძე განმარტავს, სასჯელის გადავადების დროს, საქმეზე სამართალწარმოების პროცესი დასრულებული უნდა იყოს, სააკაშვილს კი მიმდინარე საქმეები აქვს.

– ბრალდებულმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა და განმარტა, რომ მას სურს სასჯელი გადაუვადდეს. აქვე განვმარტავ, როცა აღნიშნული საკითხი წყდება, სამართალწარმოების პროცესი უნდა იყოს დასრულებული, ჩვენ საქმეზე სამართალწარმოება მიმდინარეობს ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ კვეთის ფაქტთან დაკავშირებით, – განაცხადა ვეფხვაძემ.

მისი განმარტებით, დაცვის შეფასებაა ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შემოსვლა ოფიციალურმა უწყებებმა მას შემდეგ გაიგეს, რაც თავად სააკაშვილმა ამის ამსახველი ვიდეო გაავრცელა.

– 24 თებერვლის სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს კიდევ ერთხელ, რომ ძებნილ, მსჯავრდებულ, უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს ოფიციალურად არ გადმოუკვეთია საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ის კანონდარღვევით შემოვიდა.

სასამართლო პროცესზე დაკითხულმა მოწმემ დაადასტურა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შესახებ ინფორმაცია ბევრად ადრე ჰქონდათ, აღნიშნულის კონტროლი გასაიდუმლოებულად მიმდინარეობდა და აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოები საქმის კურსში იყვნენ, – განაცხადა ვეფხვაძემ.

## თელავში ზაზა ბიბილაშვილი დააკავეს

თელავში უკრაინის მხარდამჭერ აქციაზე „ჭავჭავაძის ცენტრის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი ზაზა ბიბილაშვილი დააკავეს.



არსებული ინფორმაციით, დაკავებული თელავის სამმართველოშია გადაყვანილი.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ბიბილაშვილი ადმინისტრაციული წესითაა დაკავებული.

კონკრეტულად რა გახდა ბიბილაშვილის დაკავების მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

## „საშინელი სურათი დახვდათ"

### რაჭაში დათვმა მონადირე შეჭამა

რაჭაში, ონის ტყეში, დათვმა მონადირე შეჭამა. უბედური შემთხვევა 23 თებერვალს მოხდა.

„პრაიმტაიმს" მომხდარის ამსახველი ფოტოები ადგილიდან ერთ-ერთმა ადგილობრივმა მიაწოდა.

როგორც ადგილობრივი ამბობს, მონადირეებმა ერთი დათვი მოკლეს, მეორეს თავდასხმას არ ელოდებოდნენ და უბედური შემთხვევაც ამ დროს მოხდა.

– ერთი მოკლეს და მეორეს არ ელოდებოდნენ, ბუნაგიდან გამოვარდა. სხვა მონადირეები ცოტა წინ წავიდნენ და განწირულ ღრიალზე უკან გაიქცნენ, მაგრამ აღმართი იყო და მალე ვერ ასულან. ადგილზე მისულებს საშინელი სურათი დახვდათ. ნახევარი კაცი შეჭმული იყო უკვე, – ყვება ადგილობრივი.

# შოლცი: „მხარი უკრაინას უნდა დავუჭიროთ. პუტინის აგრესიაზე სხვა პასუხი შეუძლებელია“



– ამ უკიდურესი საჭიროების დროს უკრაინას მხარი უნდა დავუჭიროთ. პუტინის აგრესიაზე სხვა პასუხი შეუძლებელი იყო.

მის შესახებ გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა გუშინ, 27 თებერვალს, ბუნდესტაგში განაცხადა, სადაც მან უკრაინის ჯარისთვის იარაღის პირდაპირ მიწოდების შესახებ გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებაზე ისაუბრა.

– ეს ომი პუტინმა აირჩია და არა რუსმა ხალხმა, ამიტომ ნათლად უნდა დავინახოთ, რომ ეს პუტინის ომია, – აღნიშნა შოლცმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინაზე თავდასხმით პუტინი ანადგურებს ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურას.

– უკრაინაზე თავდასხმით პუტინს არ სურს მხოლოდ ქვეყნის წაშლა მსოფლიო რუკიდან. ის ასევე ანადგურებს ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურას, – აღნიშნა შოლცმა.

მან ასევე განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა შეიარაღებული ძალებისთვის დაფინანსებას ზრდის და ამ მიზნით 2022 წლის ბიუჯეტში 100 მილიარდ ევროს გამოყოფენ.

– ამიერიდან ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ზე მეტი თავდაცვის სექტორს მოხმარდება, – აღნიშნა შოლცმა.

გერმანიის მთავრობამ უკრაინისთვის 1000 ტანკსაწინააღმდეგო იარაღისა და 500 „სტინგერის“ სარაკეტო სისტემის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო.

ფაქტს უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი გამოეხმაურა.

„ასე გააგრძელე, კანცლერო ოლაფ შოლც! ომის საწინააღმდეგო კოალიცია მოქმედებს“, – დაწერა ზელენსკიმ „ტვიტერზე“.

# პუტინმა რუსეთის არმია მორიგეობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაიყვანა



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „დასავლეთში გაკეთებული აგრესიული განცხადებების ფონზე“ განკარგულება გასცა შემაკავებელი ძალების სამსახურის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანის შესახებ.

ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

– ნატოს ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირები უშვებენ აგრესიულ გამონათქვამებს ჩვენი ქვეყნის მისამართით, ამიტომ ვუბრძანებ თავდაცვის მინისტრსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელს, რუსეთის არმიის შემაკავებელი ძალები გადავიდნენ სამხედრო მორიგეობის განსაკუთრებულ რეჟიმზე, – განაცხადა პუტინმა, რომელმაც გუშინ, 27 თებერვალს, კრემლში თავდაცვის მინისტრ სერგეი შაიგუსთან და გენერალური შტაბის უფროს ვალერი გერასიმოვთან შეხვედრა გამართა.

მისი თქმით, დასავლეთის ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირები უშვებენ აგრესიულ გამონათქვამებს რუსეთის წინააღმდეგ.

პუტინმა განაცხადა, რომ ქვეყნები იღებენ არალეგიტიმურ სანქციებს.

# რუსეთის მოსახლეობა ბანკომატებს მიაწყდა




## ომის დაწყებიდან 24 მილიარდი დოლარია გატანილი

რუსეთში პანიკაა – შეშინებული მოსახლეობა ბანკომატებს მიაწყდა. მოქალაქეებს ბანკებიდან დანაზოგები მასობრივად გააქვთ.

უკრაინაში ომის დაწყებიდან საბანკო სისტემიდან 24 მილიარდი დოლარია გატანილი. ამის გამო რუსულმა ბანკებმა ლიმიტები დააწესეს.

გაზრდილი უკმაყოფილების გამო რუსეთში საპროტესტო აქციები იმართება, თუმცა ხელისუფლება მათ აკავებს.

ინტერნეტსივრცეში ვლადიმერ პუტინის იმპიჩმენტის მოთხოვნით პეტიცია გაჩნდა. მომთხოვნელთა რაოდენობა 100 ათასამდე აღწევს.

# უკრაინის რადა გაეროს: „შეიქმნას ტრიბუნალი პუტინის რეჟიმის დანაშაულთა გამოსაძიებლად“



უკრაინის რადა გაეროს გენერალურ ასამბლეას მიმართავს წინადადებით, შექმნას სპეციალური ტრიბუნალი იმ დანაშაულთა გამოსაძიებლად, რომლებიც რუსეთის მოქმედი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის რეჟიმმა ჩაიდინა მსოფლიო ქვეყნების წინააღმდეგ.

მიმართვა დეპუტატებს რადის სპიკერმა რუსლან სტეფანჩუკმა გააცნო.

– მივმართავთ გაეროს გენერალურ ასამბლეას წინადადებით, შექმნას სპეციალური ტრიბუნალი პუტინის რეჟიმის დანაშაულთა გამოსაძიებლად უკრაინაში, საქართველოში, მოლდოვასა და სხვა სახელმწიფოებში.

ბარბაროსული დანაშაულების ჩადენის შედეგად უკრაინაში რუსეთის ადგილი არ არის მსოფლიო ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის. მასთან კონტაქტი შესაძლებელია მხოლოდ აგრესიის შეჩერებისა და დიქტატორული სისხლიანი რეჟიმის ცვლილების შემდეგ, – განაცხადა სტეფანჩუკმა.

უკრაინის პარლამენტი, ასევე, მოუწოდებს მთელ მსოფლიოს, რუსეთი აღიაროს ტერორისტ სახელმწიფოდ.

რადა მსოფლიოს ასევე მიმართავს, არ აღიარონ სამხედრო ტერორისტის, ვლადიმერ პუტინის, ლეგიტიმურობა და განახორციელონ მისი სრული იზოლაცია მსოფლიო არენაზე.



# უკრაინელმა ბოშებმა რუსებს ტანკი მოჰპარეს

ხერსონის ოლქში, სოფელ ლიუბიმოვკაში, უკრაინელმა ბოშებმა რუს ოკუპანტებს ტანკი მოჰპარეს.

„შეიარაღებული ძალების გმირული მუშაობის გარდა, სამაშველოში მოდიან მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ შორის ბოშები. ამ უკანასკნელებმა 27 თებერვალს რუს დამპყრობლებს ტანკი მოჰპარეს. და ეს მოხდა კახოვკიდან არცთუ ისე შორს, ხერსონის რაიონის სოფელ ლიუბიმოვკაში“, – ნათქვამია უკრაინულ ინფორმაციაში.

„ხერსონის რაიონი იწვის. სოფელ ლიუბიმოვკაში ბოშებმა ტანკი მოიპარეს. კიდევ ერთხელ – ბოშებმა ტანკი მოჰპარეს რუსებს“, – წერენ ადგილობრივები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ეროვნული ლიგა ფავორიტების გამარჯვებით დაიწყო



**დინამო (ბთ)-სიონი 4:0**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 ბიძინაშვილი (38), 2:0 მამუჩაშვილი (61პ), 3:0 ფლამარიონი (73), 4:0 მამუჩაშვილი (77)

**დინამო:** კუპატაძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ფალავანდიშვილი, ალთუნაშვილი (დენკოვიჩი 72), თ.გაფრინდაშვილი (ანანიძე 72), ბიძინაშვილი (ჯიღაური 59), ფლამარიონი, ფანცულაია (ზარია 59)

**სიონი:** ისიანი, ნემსაძე, კილასონია, გადრანი (ო.კვერნაძე 46), კორიფაძე, ფოცხვერია (დუმბია 46), ჯაფიაშვილი, ციცქიშვილი (ჩაგანავა 46), ნ.ხორხელი (დე ლა სოუზა 66), ლ.ხორხელი, ტაბატაძე (ღამბარაშვილი 78)

კრისტალბეთ ეროვნული ლიგის ახალი სეზონი ბათუმის დინამოსა და ბოლნისის სიონის დაპირისპირებით დაიწყო. მატჩის დაწყებამდე ორივე გუნდი და მსაჯები მინდორზე უკრაინის მხარდამჭერი ბანერებით გამოვიდნენ.

გასული სეზონის ჩემპიონებმა კი გათამაშება ხმაურიანად დაიწყეს – გია გეგუჩაძის გუნდმა ეროვნული ლიგა 2-ის ჩემპიონის სტატუსით დაწინაურებულ ბოლნისის სიონს 4 უპასუხო გოლი გაუტანა.

სტუმართა კარში დუბლი ვლადიმერ მამუჩაშვილმა შეასრულა, თითო გოლი კი ჟოვინო ფლამარიონმა და გუნდის ახალწვეულმა ირაკლი ბიძინაშვილმა მიითვალეს.

**დინამო (თბ)-ტორპედო 4:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 მოისწრაფიშვილი (29), 2:0 ბილენკი (31), 3:0 ბენიო (65), 4:0 კამარა (90)

**დინამო:** კერესელიძე, მალი (მაისურაძე 80), ბენიო, პაპავა, ხვადაგიანი, ბარნსი (თ.კირკიტაძე 80), მექვაბიშვილი, მოისწრაფიშვილი (ლომინაძე 70), კამარა, ანტილევსკი (სხირტლაძე 61), ბილენკი

**ტორპედო:** კვასხვაძე, ნადარაია, მირცხულავა, გოგლიჩიძე (აბულაძე 63), ქიმაძე, ცინცაძე, მანჯგალაძე (კუხიანიძე 63), შულაია, პაპუნაშვილი (ვ.ტაბატაძე 83), ახვლედიანი, მჭედლიძე (ბუღრიძე 63)

დინამო არენაზე გამართული ქართული დერბი უხვგოლიანი გამოდგა. ბათუმური მატჩის მსგავსად, დედაქალაქელებმა ქუთაისელები 4:0 დაამარცხეს.

დინამოსა და ტორპედოს შორის გამართულ დაპირისპირებაში მასპინძლებმა ინტრიგა პირველივე ტაიმში მოკლეს. 29-ე წუთზე ანგარიში გიორგი მოისწრაფიშვილმა გახსნა, 2 წუთში 2-მდე უპირატესობა უკრაინელმა ლეგიონერმა სტანისლავ ბილენკიმ გაზარდა.

სათამაშო სცენარი რადიკალურად არც მე-2 ტაიმში შეცვლილა. დინამომ საიმონ ბენიოს მიერ გატანილი გოლით სხვაობა 3-ბურთიანი გახადა. საბოლოო შედეგი თამაშის ბოლო წუთზე უსმანე კამარამ ულამაზესი გოლით დააფიქსირა.

**დილა-გაგრა 2:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 კაპანაძე (8), 2:0 გაგნიძე (27), 2:1 ბუხაიძე (72)

**დილა:** ბულისკერია, ჩიტეიშვილი (გ.გაფრინდაშვილი 81), ჭიჭინაძე, სანტოსი, მოსიაშვილი (ტავარესი 81), ღუდუშაური, თ.კაპანაძე (მაქაცარია 61), ივანიაძე (დრამე 61), ნონდი, გაგნიძე, სილვა

**გაგრა:** ქურდაძე, ხოსიტაშვილი, ჭანტურია, ნოზაძე, შონია, სულთანიშვილი (შეწირული 78), ბუხაიძე, ჩოგაძე (ოლხოვი 81), ქობულაძე, ვეკუა (ვაწაძე 58), კვირკვია (ფარულავა 58)

3 ქულით დაიწყო სეზონი შარშანდელი სეზონის ბრინჯაოს პრიზიორმა გორის დილამ, რომელმაც ეროვნულ ლიგაში 10-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული გაგრა დაამარცხა.

შეხვედრაში ანგარიში მე-8 წუთზე თორნიკე კაპანაძემ ულამაზესი შორეული დარტყმით გახსნა, ხოლო მეორე გოლი საქართველოს 21-წლამდე ნაკრების წევრმა და გორელთა კაპიტანმა ნიკა გაგნიძემ თავური დარტყმით გაიტანა.

72-ე წუთზე გაგრიდან სხვაობა გიორგი ბუხაიძემ ასევე თავური დარტყმით შეამცირა, მაგრამ სულ ეს იყო.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

სამართალი

# ცემა-ტყეპა სუფრასთან

## რა მოხდა გორის რაიონში



ჩხუბი გორის რაიონში – ადგილობრივების თქმით, ზელდულეთის მთვრალმა დეპუტატმა მოქალაქეებს ზონდერჯგუფები დაუპირისპირა. ნაცემია 10-მდე ადამიანი, მათგან რამდენიმე დაჭრილია.

ინფორმაციას შსს მალავდა. „მთავარმა“ კი შემთხვევის ადგილი გადაიღო და დაშავებულების ოჯახის წევრები ჩაწერა.

შემთხვევა რიტუალების სახლთან მოხდა, რომელიც პოლიციასთან დაახლოებით 50 მეტრში მდებარეობს.

24 თებერვალს იქ ერთ-ერთი ადგილობრივი დაბადების დღეს აღნიშნავდა, სადაც „ქართული ოცნების“ წევრი კობა ბერიანიძეც იყო დაპატიჟებული. მას ერთ-ერთ ადგილობრივთან შელაპარაკება მოუხდა, რაც მალე ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ადგილობრივები ყვებიან, რომ ბერიანიძემ გორიდან ზონდერჯგუფები გამოიძახა, რომლებიც მის თანასოფლელებს გაუსწორდნენ. დაშავებულებს დაზიანებები კასტეტებით აქვთ მიყენებული.

– არასწორ ინფორმაციას რატომ აჟღერებ, რატომ იძახი ეგეთ რაღაცეებს. რაღაც ლაპარაკი მოუვიდათ ბიჭებს, რა პრობლემაა მერე, მე რა შუაში ვარ, პირიქით, მე ვუთხარი, არ იჩხუბოთ-მეთქი, სუფრაზე შელაპარაკება მოუხდათ, – თქვა ბერიანიძემ.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ნაცემია იუბილარიც.

შსს-ს ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები ამ დრომდე არ ჩაუტარებია.

# კასპში ჟურნალისტებზე ძალადობაზე გამოძიება ინსპექტორმა დაიწყო

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში 22 თებერვალს „მთავარი არხის“, „ტვ პირველისა“ და „ფორმულას“ ჟურნალისტების გამოკითხვა დასრულდა.

უწყებამ კასპში მომხდარ ინციდენტზე მოკვლევა 333-ე მუხლით დაიწყო, რაც პოლიციელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებასა და ძალადობას გულისხმობს.

ჟურნალისტებმა სახელმწიფო ინსპექტორს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს და ახლა იმედოვნებენ, რომ ინსპექტორის აპარატი მიუკერძოებელ დასკვნას დაწერს. გარდა ამისა, უფლებადამცველები ითხოვენ, რომ გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომაც დაიწყოს და ჟურნალისტებს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭოთ,

ცნობისთვის, საუბარია 18 თებერვალს, კასპის საკრებულოში მომხდარ ინციდენტზე, როდესაც მედიის წარმომადგენლები პოლიციამ შენობიდან ძალის გამოყენებით გაიყვანა.

„მთავარი არხის“ ჟურნალისტზე ფიზიკურად იძალადეს, დაზიანდა ტექნიკაც.


## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# საქართველომ ჩრდილოეთ მაკედონია დაამარცხა და კიდევ ეთამაშა

**საქართველო-ჩრ.მაკედონია 91:70**

**(24:18; 22:13; 22:16; 23:23)**

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ჩრდილოეთ მაკედონია 21 ქულით დაამარცხა. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა ჩვენმა გუნდმა, რომელსაც არაერთი ლიდერი აკლდა, უხერხულ მეტოქეს ისე მოუგო, პრობლემა არ შეჰქმნია.

არადა, საფრთხე, რომ საქართველოს ნაკრებს მაკედონიელებთან გაუჭირდებოდა, არ იყო საფუძველს მოკლებული. ჩვენს გუნდს აკლდა კაპიტანი თორნიკე შენგელია, ძირითადი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე, ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი ბექა ბურჯანაძე და კიდევ რამდენიმე ძლიერი კალათბურთელი. ამის მიუხედავად, საქართველომ ჩრდილოეთ მაკედონიას პირწმინდად აჯობა და ამისი მიზეზი უპირველესად მეტოქეზე მაღალი სათამაშო კლასი და მწვრთნელის ფაქტორი იყო.

ილიას ზუროსისა და მისი ასისტენტების მომზადებულმა ჩვენმა ნაკრებმა დისციპლინის დაცვით, მაქსიმალურად მობილიზებულად ითამაშა. ყოველ მონაკვეთში, ბოლოს 23 ქულითაც რომ იგებდნენ, ქართველები ბოლომდე იბრძოდნენ. ბერძენი სპეციალისტი მოთამაშეებისგან მაქსიმუმს ითხოვდა და მთელი თამაშის მანძილზე ჩვენიანებს მოდუნების საშუალებას არ აძლევდა.

შედეგად, საქართველომ თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და დასაწყისში რომ დაწინაურდა, მცირე ეპიზოდების გარდა, ლიდერობას განუხრელად ზრდიდა. ჩვენს გუნდს ჩრდილომაკედონიელებთან მხოლოდ 3 ლეგიონერი – გიორგი შერმადინი, დუდა სანაძე და თად მაკფადენი ჰყავდა, რომლებმაც დიდებულად ითამაშეს, თუმცა აღსანიშნავია სუპერლიგის მოთამაშეების გარჯაც. ოლიმპელმა კახა ჯინჭარაძემ და ილია ლონდარიძემ ბოლომდე სამაგალითოდ იბრძოლეს და გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს.



ჩინებულად გაისარჯნენ და არაერთი მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდეს თსუ-ს წევრმა მიხეილ ბერიშვილმა და ბათუმელმა ბექა ბექაურმა. მართალია, გივი ბაქრაძეს ქულა არ მოუპოვებია, მაგრამ ბურთს კარგად აკონტროლებდა და მეტოქის ნახევარზე საიმედოდ გადაჰქონდა, სადაც უკვე თანაგუნდელები აგვირგვინებდნენ – უმეტესად წარმატებით. სტაბილურად გაისარჯა რუსთავის ფორვარდი მერაბ ბოქოლიშვილი, რომელიც ძირითადად დაცვითი ფუნქციებით იყო დაკავებული, ხოლო ანგარიშზე, ისევე, როგორც ლონდარიძესა და ბექაურს, 4 ქულა დაუგროვდა.

საუკეთესო შედეგი გიორგი შერმადინმა დააფიქსირა, რომელმაც სარგებლიანობის 35 ინდექსს უწია. მის ანგარიშზე 20 ქულა, 15 მოხსნა და 6 პასი დაგროვდა. თად მაკფადენმა 26 ქულა, 6 მოხსნა და 5 პასი მოაგროვა. კახა ჯინჭარაძემ – 12, ხოლო დუდა სანაძემ 11 ქულა მიითვალა. მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე 10 ქულა დაგროვდა, ზემოთ ნახსენებ ბაქარაძეს კი 7 პასი ჰქონდა.

საქართველოს ნაკრებს 3 მატჩიდან 2 გამარჯვება აქვს და ცხრილში დაუმარცხებელი ესპანეთის შემდეგ მე-2 ადგილზეა. ამ ტურში ესპანეთმა შინ 88:74 დაამარცხა უკრაინა.

საქართველოს ნაკრები სკოპიეში ჩრდილოეთ მაკედონიას გუშინ ეთამაშა და მატჩი გვიან ღამით დასრულდა, ხოლო უკრაინისა და ესპანეთის მე-2 თამაში უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო გადაიდო.

## ეროვნული ლიგა ფავორიტების გამარჯვებით დაიწყო

დასაწყისი მე-6 გვერდზე

**ლოკომოტივი-თელავი 0:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 კოხრეიძე (47)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, აწყურელი (ჯაფარიძე 55), ანდრონიკაშვილი, იაკობიძე (მუკბანიანი 78), სამურკასოვი (ზოსიაშვილი 78), შეყილაძე (ჭიაბრიშვილი 74), დარცმელია, ომარაშვილი, ძებნიაური, გაბაძე, ქველაძე

**თელავი:** ბეზკროვნი, კაპანაძე, თოლორდავა, თევზაძე, ფაცაცია, აშორტია (ფირანაშვილი 69), მარაქველიძე (ქოჩლაძე 69), პავიშიჩი (ქანთარია 46), მახარობლიძე (გ.კვერნაძე 46), გოშთელიანი (მუჯირი 88), კოხრეიძე

ეს მატჩი ნაკლებად შედეგიანი გამოდგა. მიხეილ მესხი 2-ზე დაბრუნებულმა თბილისის ლოკომოტივმა თელავს უმასპინძლა და მინიმალური სხვაობით დამარცხდა.

გიორგი ჭელიძის გუნდიდან ერთადერთი გოლი 47-ე წუთზე ლაშა კოხრეიძემ გაიტანა და კახურ გუნდს სეზონში პირველი გამარჯვება მოაპოვებინა.

# შედეგები

## 26 თებერვალი

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ლიდსი-ტოტენჰემი ... 0:4
ბრენტფორდი-ნიუკასლი ... 0:2
კრ.პალასი-ბარნლი ... 1:1
მანჩესტერი-უოტფორდი ... 0:0
ბრაიტონი-ასტონ ვილა ... 0:2
ევერტონი-სიტი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 27 | 21 | 3 | 3 | 64-17 | 66 |
| 2.ლივერპული | 26 | 18 | 6 | 2 | 70-20 | 60 |
| 3.ჩელსი | 25 | 14 | 8 | 3 | 49-18 | 50 |
| 4.მანჩესტერი | 27 | 13 | 8 | 6 | 44-34 | 47 |
| 5.არსენალი | 24 | 14 | 3 | 7 | 38-27 | 45 |
| 6.ვესტ ჰემი | 26 | 12 | 6 | 8 | 45-34 | 42 |
| 7.ტოტენჰემი | 25 | 13 | 3 | 9 | 35-32 | 42 |
| 8.ვულვზი | 25 | 12 | 4 | 9 | 24-20 | 40 |
| 9.საუთჰემპტონი | 26 | 8 | 11 | 7 | 34-37 | 35 |
| 10.ბრაიტონი | 26 | 7 | 12 | 7 | 25-30 | 33 |
| 11.კრ.პალასი | 27 | 6 | 12 | 9 | 37-38 | 30 |
| 12.ასტონ ვილა | 25 | 9 | 3 | 13 | 33-37 | 30 |
| 13.ლესტერი | 23 | 7 | 6 | 10 | 37-43 | 27 |
| 14.ნიუკასლი | 25 | 5 | 10 | 10 | 28-45 | 25 |
| 15.ბრენტფორდი | 27 | 6 | 6 | 15 | 27-44 | 24 |
| 16.ლიდსი | 26 | 5 | 8 | 13 | 29-60 | 23 |
| 17.ევერტონი | 24 | 6 | 4 | 14 | 28-41 | 22 |
| 18.ბარნლი | 24 | 3 | 12 | 9 | 22-30 | 21 |
| 19.უოტფორდი | 26 | 5 | 4 | 17 | 25-47 | 19 |
| 20.ნორვიჩი | 26 | 4 | 5 | 17 | 15-55 | 17 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბლექბერნი-ქპრ ... 1:0
ბარნსლი-მიდლზბრო ... 3:2
ბირმინგემი-ჰადერსფილდი ... 0:2
ბლექპული-რედინგი ... 4:1
ბორნმუთი-სტოკი ... 2:1
კარდიფი-ფულემი ... 0:1
ქოვენთრი-პრესტონი ... 1:1
ლუთონი-დერბი ... 1:0
მილუოლი-შეფილდი ... 1:0
ნოტინგემი-ბრისტოლი ... 2:0
პიტერბრო-ჰალი ... 0:3

### გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-არმინია ... 3:0
გლადბახი-ვოლფსბურგი ... 2:2
ფიურტი-კიოლნი ... 1:1
უნიონი-მაინცი ... 3:1
ფრაიბურგი-ჰერტა ... 3:0
აინტრახტი-ბაიერნი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 19 | 1 | 4 | 75-26 | 58 |
| 2.დორტმუნდი | 23 | 16 | 1 | 6 | 63-36 | 49 |
| 3.ლევერკუზენი | 24 | 13 | 5 | 6 | 63-39 | 44 |
| 4.ფრაიბურგი | 24 | 11 | 7 | 6 | 39-26 | 40 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 24 | 12 | 4 | 8 | 47-36 | 40 |
| 6.ლაიფციგი | 23 | 11 | 4 | 8 | 49-28 | 37 |
| 7.უნიონი | 24 | 10 | 7 | 7 | 32-32 | 37 |
| 8.კიოლნი | 24 | 9 | 9 | 6 | 36-38 | 36 |
| 9.მაინცი | 24 | 10 | 4 | 10 | 35-29 | 34 |
| 10.აინტრახტი | 24 | 8 | 7 | 9 | 33-36 | 31 |
| 11.ბოხუმი | 23 | 8 | 5 | 10 | 25-33 | 29 |
| 12.ვოლფსბურგი | 24 | 8 | 4 | 12 | 26-37 | 28 |
| 13.გლადბახი | 24 | 7 | 6 | 11 | 32-48 | 27 |
| 14.არმინია | 24 | 5 | 10 | 9 | 22-32 | 25 |
| 15.ჰერტა | 24 | 6 | 5 | 13 | 25-54 | 23 |
| 16.აუგსბურგი | 23 | 5 | 7 | 11 | 25-40 | 22 |
| 17.შტუტგარტი | 24 | 4 | 7 | 13 | 28-45 | 19 |
| 18.ფიურტი | 24 | 3 | 5 | 16 | 22-62 | 14 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანზა-ნიურნბერგი ... 0:2
ინგოლშტადი-ზ.პაული ... 1:3
კარლსრუე-შალკე ... 1:1
დინამო-დარმშტადი ... 0:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

მალიორკა-ვალენსია ... 0:1
ხეტაფე-ალავესი ... 2:2
რაიო-რეალი ... 0:1
ატლეტიკო-სელტა ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 26 | 18 | 6 | 2 | 52-20 | 60 |
| 2.სევილია | 25 | 14 | 9 | 2 | 37-17 | 51 |
| 3.ბეტისი | 25 | 14 | 4 | 7 | 47-30 | 46 |
| 4.ატლეტიკო | 26 | 13 | 6 | 7 | 47-34 | 45 |
| 5.ბარსელონა | 24 | 11 | 9 | 4 | 42-28 | 42 |
| 6.ვილიარეალი | 25 | 10 | 9 | 6 | 42-24 | 39 |
| 7.სოსიედადი | 24 | 10 | 8 | 6 | 24-25 | 38 |
| 8.ბილბაო | 25 | 9 | 10 | 6 | 29-21 | 37 |
| 9.ვალენსია | 26 | 8 | 9 | 9 | 38-42 | 33 |
| 10.სელტა | 26 | 8 | 8 | 10 | 29-28 | 32 |
| 11.ოსასუნა | 25 | 8 | 8 | 9 | 25-30 | 32 |
| 12.რაიო | 25 | 9 | 4 | 12 | 28-30 | 31 |
| 13.ესპანიოლი | 25 | 7 | 8 | 10 | 30-35 | 29 |
| 14.ელჩე | 26 | 7 | 8 | 11 | 28-37 | 29 |
| 15.ხეტაფე | 26 | 6 | 9 | 11 | 26-30 | 27 |
| 16.მალიორკა | 25 | 6 | 8 | 11 | 23-39 | 26 |
| 17.გრანადა | 25 | 5 | 9 | 11 | 27-40 | 24 |
| 18.ალავესი | 26 | 5 | 6 | 15 | 21-44 | 21 |
| 19.კადისი | 25 | 3 | 11 | 11 | 21-39 | 20 |
| 20.ლევანტე | 26 | 3 | 9 | 14 | 28-51 | 18 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

იბიცა-უესკა ... 2:1
მირანდესი-ტენერიფე ... 2:1
ოვიედო-სოსიედადი ... 0:1
ლას პალმასი-ლუგო ... 2:2

### იტალია. სერია ა

სალერნიტანა-ბოლონია ... 1:1
ემპოლი-იუვენტუსი ... 2:3
სასუოლო-ფიორენტინა ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 26 | 17 | 5 | 4 | 52-28 | 56 |
| 2.ინტერი | 26 | 16 | 7 | 3 | 55-22 | 55 |
| 3.ნაპოლი | 26 | 16 | 6 | 4 | 47-18 | 54 |
| 4.იუვენტუსი | 27 | 14 | 8 | 5 | 41-25 | 50 |
| 5.ატალანტა | 25 | 12 | 8 | 5 | 46-30 | 44 |
| 6.ლაციო | 26 | 12 | 7 | 7 | 53-40 | 43 |
| 7.რომა | 26 | 12 | 5 | 9 | 44-34 | 41 |
| 8.ფიორენტინა | 26 | 13 | 3 | 10 | 45-36 | 42 |
| 9.ვერონა | 26 | 10 | 7 | 9 | 49-42 | 37 |
| 10.სასუოლო | 27 | 9 | 9 | 9 | 45-45 | 36 |
| 11.ტორინო | 25 | 9 | 6 | 10 | 32-26 | 33 |
| 12.ბოლონია | 26 | 9 | 5 | 12 | 32-42 | 32 |
| 13.ემპოლი | 27 | 8 | 7 | 12 | 40-53 | 31 |
| 14.სამპდორია | 26 | 7 | 5 | 14 | 35-42 | 26 |
| 15.სპეცია | 26 | 7 | 5 | 14 | 28-48 | 26 |
| 16.უდინეზე | 24 | 5 | 10 | 9 | 31-41 | 25 |
| 17.კალიარი | 26 | 4 | 10 | 12 | 26-47 | 22 |
| 18.ვენეცია | 25 | 5 | 7 | 13 | 23-44 | 22 |
| 19.ჯენოა | 27 | 1 | 14 | 12 | 22-47 | 17 |
| 20.სალერნიტანა | 25 | 3 | 6 | 16 | 20-56 | 14 |

### იტალია. სერია ბ

ვიჩენცა-პორდენონე ... 1:0
კოზენცა-ალესანდრია ... 2:1
კომო-ბრეშა ... 1:1
პარმა-სპალი ... 4:0
ტერნანა-კრემონეზე ... 1:2
პერუჯა-ბენევენტო ... 0:1

### საფრანგეთი. ლიგა 1

სტრასბური-ნიცა ... 0:0
პსჟ-სენტ ეტიენი ... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 19 | 5 | 2 | 56-23 | 62 |
| 2.მარსელი | 25 | 13 | 7 | 5 | 38-23 | 46 |
| 3.ნიცა | 26 | 14 | 5 | 7 | 37-21 | 46 |
| 4.სტრასბური | 26 | 12 | 7 | 7 | 48-31 | 43 |
| 5.რენი | 26 | 13 | 4 | 9 | 51-25 | 43 |
| 6.მონაკო | 25 | 10 | 8 | 7 | 38-27 | 38 |
| 7.ნანტი | 25 | 11 | 5 | 9 | 34-29 | 38 |
| 8.ლიონი | 25 | 10 | 9 | 6 | 34-31 | 38 |
| 9.მონპელიე | 26 | 11 | 4 | 11 | 41-38 | 37 |
| 10.ლანსი | 25 | 10 | 7 | 8 | 40-36 | 37 |
| 11.ლილი | 25 | 9 | 9 | 7 | 32-35 | 36 |
| 12.ბრესტი | 25 | 8 | 8 | 9 | 34-37 | 32 |
| 13.ანჟე | 25 | 7 | 8 | 10 | 30-36 | 29 |
| 14.რეიმსი | 25 | 6 | 10 | 9 | 28-29 | 28 |
| 15.კლერმონი | 25 | 7 | 6 | 12 | 26-41 | 27 |
| 16.სტ.ეტიენი | 26 | 5 | 7 | 14 | 27-50 | 22 |
| 17.ტრუა | 25 | 5 | 6 | 14 | 22-40 | 21 |
| 18.ლორიანი | 25 | 4 | 9 | 12 | 20-39 | 21 |
| 19.მეცი | 25 | 4 | 9 | 12 | 25-45 | 21 |
| 20.ბორდო | 25 | 4 | 9 | 12 | 37-62 | 21 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

პარიზი-სოშო ... 3:1
ამიენი-ნიმი ... 3:0
აიაჩო-როდეზი ... 2:1
ვალანსიენი-პო ... 1:0
ლე ავრი-ნანსი ... 1:0
გენგამი-ნიორი ... 1:0
დიუნკერკი-დიჟონი ... 2:1
კაენი-ბასტია ... 2:1
ოსერი-კევიი ... 1:0

### ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი

ერაკლესი-ზვოლე ... 2:0
გრონინგენი-ტილბურგი ... 1:0
კამბური-ფორტუნა ... 2:1

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ფამილიკაო-ტონდელა ... 2:1
მარიტიმუ-სპორტინგი ... 1:1
აროუკა-მორეირენშე ... 1:1

### ბელგია. ა დივიზიონი

სენ ჟილუა-ეუპენი ... 0:0
მეხელენი-სერკლი ... 2:2
ოსტენდე-სტ.ტრუიდენი ... 0:0
ლეუვენი-ანდერლეხტი ... 0:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ალტახი-ადმირა ... 0:2

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-დ.იუნაიტედი ... 1:1
როსი-სტ.ჯონსონი ... 3:1
სტ.მირენი-ჰართსი ... 0:2
დანდი-ლივინგსტონი ... 0:4

### თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაქშეჰირი-ქარაგუმრუქი ... 1:2
სივასი-ბეშიქთაში ... 2:3

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-არისი ... 0:2
პანეთოლიკოსი-ვოლოსი ... 0:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

იანგ ბოიზი-სიონი ... 3:1
ლუგანო-სერვეტი ... 2:0

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-ბანიკი ... 0:2
ლიბერეცი-იაბლონეცი ... 1:1
სლოვაცკო-ბოლესლავი ... 2:1
პლზენი-პარდუბიცე ... 4:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პოგონი-ლეხი ... 0:3
ლენჩნა-სტალი ... 2:0
პიასტი-გურნიკი ... 0:0

### უნგრეთი. 1 დივიზიონი

ზალაეგერსეგი-კიშვარდა ... 0:0
ჰონვედი-პუშ.აკადემია ... 0:0
ფერენცვაროში-დირმოტი ... 1:1

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ყურძნის კრეფა; 2. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 3. უფესვო სპოროვანი მცენარე; 5. მექსიკური არაყი; 6. კახეთის სამეფოს დედაქალაქი; 7. დებულება, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 11. რაიონული ცენტრი სვანეთში; 13. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 14. გარეგნული მომხიბვლელობა – ეშხი; 15. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია; 16. რაიონული ცენტრი იმერეთში; 17. ტბა სამხრეთ საქართველოში; 19. მანძილის საზომი ერთეული ბრიტანეთში; 20. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში.

**თარაზულად:** 1. ფლანდრიელი მხატვარი; 4. ფულის ერთეული პოლონეთში; 8. ქვანახშირის გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი; 9. პატარა რესტორანი; 10. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 12. პატარა სამკუთხა ალამი; 14. დიდი საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 15. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში; 16. მსხვილი სავაჭრო-ფინანსური გარიგებების დაწესებულება; 18. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 21. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 22. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 23. დიპლომატიური პროტესტის ერთ-ერთი ფორმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ნოთაობა; 2. სამშვილდე; 3. სილიკოზი; 4. გულცორა; 5. ყავარი; 9. სვინგი; 11. ჩერჩილი; 12. პიკასო; 14. კნეთელი; 18. აზოტი; 19. იალტა.

**თარაზულად:** 4. გურონი; 5. ყარაყუმი; 6. გინზა; 7. კლოშარი; 8. იშიასი; 10. სირჩა; 13. ბუკერი; 15. იერიონი; 16. ზიზი; 17. კანა; 20. თავაძე; 21. ჯოკერი; 22. პატრული; 23. ტროერო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სვინგი; 2. სიმდი; 3. რუხი; 5. მულამი; 6. სიონი; 7. კოპელია; 11. ღადარი; 13. ბაიდენი; 14. აზოტი; 15. გუდრენი; 16. დოპინგი; 17. ჯულეპი; 19. ირისი; 20. დოჟი.

**თარაზულად:** 1. სასწორი; 4. ტოლმა; 8. ხეობა; 9. კოლოფ; 10. ნადული; 12. ლეჩხუმი; 14. ალაო; 15. გაბარიტი; 16. დიორი; 18. ბორტი; 21. ლობიო; 22. გორეუტი; 23. სუპორტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 თებერვალი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.1540 |
| ევრო | — 3.5255 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 4.2194 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.7416 |

## ამინდის პროგნოზი 28 თებერვლისათვის




## რონალდუ ბრუნო ფერნანდეშს გაუბრაზდა

მანჩესტერ იუნაიტედმა უოტფორდის დამარცხება ვერ შეძლო და ერთ-ერთ ეპიზოდში ბრუნო ფერნანდეშმა კრიშტიანო რონალდუს პასი არ გაუკეთა, რის გამოც რონალდუ მას გაუბრაზ-



და და ფეხბურთელებს შორის მოედანზე მცირე კონფლიქტიც მოხდა.

რონალდუს, ბუნებრივია, ამ საკითხზე კითხვა დაუსვეს, მაგრამ მან პასუხს თავი აარიდა და თქვა, რომ ეს მხოლოდ სათამაშო სიტუაცია იყო და კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია.

## ასენსიომ, შესაძლოა, რეალი დატოვოს



მადრიდის რეალის შემტევმა მარკო ასენსიომ, შესაძლოა, რეალი დატოვოს, რადგან ის მადრიდულ გუნდს ახალი კონტრაქტის თაობაზე ვერ უთანხმდება და ანჩელოტისთანაც არა აქვს ბოლომდე დალაგებული ურთიერთობა.

ასენსიო ყოველთვის ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში და ამის გამო უკმაყოფილებას არ მალავს.

დიდი ალბათობით, ასენსიო კარიერას ინგლისში გააგრძელებს.

## ბუსკეტსი სეზონის ბოლოს აშშ-ში მიდის?

ბარსელონის ნახევარმცველმა სერხიო ბუსკეტსმა სეზონის ბოლოს, შესაძლოა, ბარსელონა დატოვოს და კარიერა აშშ-ში გააგრძელოს.



ბუსკეტსი უკვე 34 წლის არის და ბოლო პერიოდში უკვე ველარ აჩვენებს სტაბილურად მაღალი დონის ფეხბურთს. ამის გამო მას მედიაში ხშირად აკრიტიკებენ.

როგორც ჩანს, თვითონ ბუსკეტსიც მიხვდა, რომ უკვე წასვლის დროა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ლამარა, კაცები დაგდევენ?

– კი, დამდევენ.

– ეტყობა, ვერ გეწევიან...

•••

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, ბავშვობაში კომპიუტერი გქონდა?

– არა.

– დივიდი?

– არა!

– მობილური ტელეფონი?

– არა!

– დედა, დინოზავრები თუ გინახავს?

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შიმშილობის საწინააღმდეგო „ტაბლეტები“ თუ არსებობს?

– როგორ არა, კატლეტები!

•••

ექიმი მამაკაცს, რომელსაც დიაბეტი აღმოაჩნდა, ეუბნება:

– შენთვის აღარ შეიძლება ტკბილი, ცომეული, კარტოფილი, მაკარონი და ა.შ.

– და სექსი შეიძლება, ექიმო?

– მხოლოდ ცოლთან.

– და საყვარელთან?

– არ შეიძლება, ეგ უკვე ტკბილია...

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როგორ შეიძლება, იმპოტენტს იმპოტენტი ისე ვუწოდო, რომ ეს სიტყვა არ გამოვიყენო?

– უძრავი ქონების მფლობელი.

•••

მამა შვილს ეუბნება:

– ჩვენ გაგათამამეთ და ისევ ჩვენ მოგვიწევს შენი დასჯა!

– ეს როგორ, თქვენ გამათამამეთ და მე უნდა დამსაჯოთ?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რას აპირებ?

– სოფელში დავბრუნდები და მამის საქმეს გავაგრძელებ.

– აჰა, ე.ი. ილოთავებ?

•••

ქმარი ჰალსტუხს ეძებს კარადაში. ცოლი ეკითხება:

– რას ეძებ?

– ჰალსტუხს.

– ქვედა უჯრაშია.

– წინდები სადღაა?

– ქვედა უჯრაში.

– ტრუსიკები?

– ეგენიც ქვედა უჯრაშია.

– მე რა, მხოლოდ ერთი უჯრა მაქვს?

– არა, კიდევ თარო გაქვს საპარსისთვის სააბაზანოში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ანრი ჯოხაძემ უკრაინას კლიპი მიუძღვნა



მომღერალმა ანრი ჯოხაძემ უკრაინასა და უკრაინელ ხალხს კლიპი მიუძღვნა.

ვიდეორგოლში მან ცნობილი უკრაინული სიმღერა „ჩერნობრივცი“ შეასრულა და უკრაინაში განვითარებული მოვლენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი კადრები გააერთიანა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ანრის ნამუშევარს ინტერნეტში დიდი მოწონება, უამრავი გაზიარება და დადებითი კომენტარები მოჰყვა.

## რუსეთი ევროვიზიიდან მოხსნეს




მუსიკალურ კონკურს „ევროვიზიიდან“ რუსეთი მოხსნეს. ამ პროცედურაში საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელიც ჩაერთო და რუსეთის ევროვიზიიდან მოხსნას მხარი დაუჭირა:

– გადაწყვეტილება რამდენიმედღიანი მსჯელობის შემდეგ იქნა მიღებული. ეს გადაწყვეტილება უკრაინის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ევროპის საზოგადოებრივი მაუწყებლის წევრ მაუწყებლებთან ერთად, მათ შორის საქართველოს პირველ არხთან ერთად მიიღო, – ნათქვამია პირველი არხის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

## ნიაზ დიასამიძე უკრაინისთვის ამღერდა



მუსიკოსი და მომღერალი ნიაზ დიასამიძე უკრაინისთვის ამღერდა. მან გალაკტიონის ლექსზე „დროშები ჩქარა“ სიმღერა დაწერა, სადაც გალაკტიონის ჩანაწერი გამოიყენა და სიმღერას მისი ხმა დაადო.

სპეციალურად კლიპისთვის ნიაზმა უკრაინის დროშაც ორიგინალურად დახატა და თავისი კალიგრაფიით „დიდება უკრაინას!“ დააწერა.

ხელოვანმა ახალი ნამუშევარი სოციალურ ქსელში გაავრცელა და ათასობით მსმენელის უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

## ბუბა კიკაბიძე: „მეც უკრაინელი ვარ!“



ბუბა კიკაბიძემ სპეციალურ ვიდეომიმართვაში განაცხადა:

– ჩვენო ძვირფასო უკრაინელებო! ძალიან გვიყვარხართ და განვიცდით, რაც უკრაინაში ხდება. ღმერთი თქვენთანაა, რადგან თქვენ საკუთარ სამშობლოს იცავთ. ეს უბრალო რამ არ არის, ეს გმირობაა. ოპტიმისტი ვარ და, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.

შესანიშნავი პრეზიდენტი გყავთ – ნიჭიერი, ახალგაზრდა, ჭკვიანი, ვაჟკაცი. გაუფრთხილდით მას. დიდება უკრაინას! მეც უკრაინელი ვარ!

## სვაროვსკის კრეატიულმა დირექტორმა დემნას სამოსით იპოზიორა



სვაროვსკის კრეატიულმა დირექტორმა ჯოვანა ბატალია ენგელბერტმა დემნას პირველი ოტ კუტიურ კოლექციიდან ერთ-ერთი სამოსი ამოარჩია და ფოტოგრაფებისთვის იპოზიორა.

ქართველი დიზაინერის სამოსი დიდი ხანია, მსოფლიო ვარსკვლავების გარდერობში საპატიო ადგილს იკავებს. დემნას კოლექციებიდან სამოსს ირჩევენ მომღერლები, დიზაინერები, მოდელები, მსახიობები...

## ნინო ხარატიშვილის პიესა რუსთაველის თეატრში გათამაშდება




28 თებერვალს რუსთაველის ეროვნული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე რეჟისორი ლევან ხაზიური მაყურებელს პრემიერას შესთავაზებს.

ნინო ხარატიშვილის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს შემოქმედებითი ჯგუფი მხოლოდ ერთ დღეს წარმოადგენს.

„ჩემი საშინელი ბედნიერების წელიწადი“ – ასე ჰქვია წარმოდგენას და მასში ნატალია ვეფხვაძე, ნინა გორგაძე, ბაია გიორგაძე, გია წიწრიაშვილი, თამარ თალაკვაძე, ლევან ხაზიური მონაწილეობენ.

სპექტაკლის რეჟისორი ლევან ხაზიურია, მუსიკალური გამფორმებელი – თამარ თალაკვაძე, მხატვარი კი – ნინი ქერეჭაშვილი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 28 თებერვლისათვის

**ვერძი** – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **მორიელი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 2. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 5. რაიონული ცენტრი შიდა ქართლში; 9. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 12. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 14. ახალი ზელანდიის აღმომჩენი ჰოლანდიელი ზღვაოსანი; 18. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 19. დამანგრეველი ძალის ჭურვი.

**თარაზულად:** 4. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 5. ბრტყელი ლოკოკინა; 6. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 7. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 8. გარეული ცხოველის სადგომი; 10. რაიმე ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 13. კაზაკთა სოფლების სახელწოდება უკრაინაში; 15. კუთხე საქართველოში; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 20. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 21. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 22. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 23. თეატრალური ცეკვის ხელოვნება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*